



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



მცხეთა-მთიანეთის სათემო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საჭიროებების კვლევა



2020

მცხეთა-მთიანეთი



მცხეთა-მთიანეთის სათემო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საჭიროებების კვლევა

კვლევა ჩატარებულია ევროკავშირის (EU) და კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მხარდაჭერით, პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ფარგლებში. მის შინაარსზე სრულიად პასუხისმგებელია მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ჰაბი „უკეთესი მომავლისათვის“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის (EU) და კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) შეხედულებებს.

„სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა „ხორციელდება კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მიერ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან (CSI), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრთან (CTC) და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან (EDEC) თანამშრომლობით. პროექტს აფინანსებს ევროკავშირი, ხოლო თანადამფინანსებელია კონრად ადენაუერის ფონდი.

2020 წელი
მცხეთა-მთიანეთი



შესავალი	7
1. ონლაინ გამოკითხვა - I ეტაპი	8
1.1. სამუშაო არეალი	8
1.2. საქმიანობის სფერო (ორგანიზაციების ხედვა და მისია).....	8
1.3. სათემო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები სოციალურ ქსელში	9
1.4. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა	9
1.5. ბიუჯეტი.....	10
1.6. 2019 წლის პროექტები.....	11
1.7. თანამშრომელთა რაოდენობა.....	11
2. ფოკუსგუფების ანალიზი - II ეტაპი	12
3. ფოკუსგუფების მონაწილეთა დემოგრაფიული მაჩვენებლები.....	13
4. სათემო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის შექმნის მოტივაცია და მოლოდინები	17
4.1. ახალგორის მუნიციპალიტეტი.....	17
4.2. მცხეთის მუნიციპალიტეტი	19
4.3. დუშეთის მუნიციპალიტეტი.....	20
4.4. თიანეთის მუნიციპალიტეტი.....	21
4.5. ყაზბეგის მუნიციპალიტეტი.....	23
5. მიმდინარე პროექტები და დონორი ორგანიზაციები მცხეთა-მთიანეთში.....	24
6. ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან და ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობის გამოცდილება მცხეთა-მთიანეთში	25
7. ორგანიზაციის წინაშე არსებული პრობლემები და გამონწვევები მცხეთა-მთიანეთში	26
7.1. ახალგორის მუნიციპალიტეტი - პრობლემები და გამონწვევები	27
7.2. მცხეთის მუნიციპალიტეტი - პრობლემები და გამონწვევები	28
7.3. დუშეთის მუნიციპალიტეტი - პრობლემები და გამონწვევები	29
7.4. თიანეთის მუნიციპალიტეტი - პრობლემები და გამონწვევები	30
7.5. ყაზბეგის მუნიციპალიტეტი - პრობლემები და გამონწვევები	31
8. მცხეთა-მთიანეთის რეგიონში არსებული ორგანიზაციების ძლიერი მხარეების, სუსტი მხარეების, შესაძლებლობების, საფრთხეების ანალიზი და რეკომენდაციები	32

8.1. ახალგორის მუნიციპალიტეტი - swot ანალიზი და რეკომენდაციები	32
8.2. მცხეთის მუნიციპალიტეტი - swot ანალიზი და რეკომენდაციები.....	34
8.3. დუშეთის მუნიციპალიტეტი - swot ანალიზი და რეკომენდაციები	37
8.4. თიანეთის მუნიციპალიტეტი - swot ანალიზი და რეკომენდაციები	39
8.5. ყაზბეგის მუნიციპალიტეტი - swot ანალიზი და რეკომენდაციები	41
9. კვლევის ძირითადი დასკვნები	43
დანართები.....	45
დანართი #1.1. SWOT ანალიზი - ახალგორის მუნიციპალიტეტი	45
დანართი #1.2. SWOT ანალიზი - ახალგორის მუნიციპალიტეტი	46
დანართი #2. SWOT ანალიზი - მცხეთის მუნიციპალიტეტი	47
დანართი #3. SWOT ანალიზი - დუშეთის მუნიციპალიტეტი	48
დანართი #4. SWOT ანალიზი - თიანეთის მუნიციპალიტეტი.....	49
დანართი #5. SWOT ანალიზი - ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	50

შესავალი

წინამდებარე კვლევით ანგარიშში წარმოდგენილია მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 2019 წლის მეოთხე კვარტალში ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის შედეგები და 2020 წლის პირველ კვარტალში ჩატარებული ფოკუსჯგუფების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი. ონლაინ გამოკითხვისა და ფოკუსჯგუფების ჩატარებით შესაძლებელი გახდა მნიშვნელოვანი რაოდენობრივი და თვისებრივი ინფორმაციის მიღება მცხეთა-მთიანეთში არსებული სათემო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საჭიროებების შესახებ.

კვლევა ჩატარდა ორ ეტაპად:

- I ეტაპი: 2019 წელს, მცხეთა-მთიანეთის რეგიონულმა ჰაბმა ჩაატარა ონლაინ გამოკითხვა, რომელიც მიზნად ისახავდა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში არსებული სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სათემო ორგანიზაციების საჭიროებების გამოკვლევას. ონლაინ გამოკითხვის შედეგად მივიღეთ ინფორმაცია რეგიონში არსებული ორგანიზაციების შესახებ: საკონტაქტო ინფორმაცია, სამუშაო არეალი, თანამშრომელთა და მოხალისეთა რაოდენობა; მისიის განაცხადი და ხედვა; მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; 2018-2017 წლის ბიუჯეტი და 2020-2019 წელს დაგეგმილი პროექტები. საერთო ჯამში ონლაინ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 18 ორგანიზაციამ.
- II ეტაპი: 2020 წელს, მცხეთა-მთიანეთის რეგიონულმა ჰაბმა ჩატარდა 5 ფოკუსჯგუფი (ახალგორის დევნილი მუნიციპალიტეტი, მცხეთის მუნიციპალიტეტი, დუშეთის მუნიციპალიტეტი, თიანეთის მუნიციპალიტეტი, ყაზბეგის მუნიციპალიტეტი), თითოეული გრძელდებოდა საშუალოდ 90 წუთის განმავლობაში. ფოკუსჯგუფებზე მიმდინარეობდა ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუ მონაწილეებს შორის დისკუსიის წარმართვის მიზნით. პროცესს ხელმძღვანელობდა ორი ფასილიტატორი, რომლებმაც წინასწარ მოამზადეს იმ თემების შესაბამისი კითხვები, რომლის დაფარვასაც ისახავდა მიზნად ფოკუსჯგუფის ჩატარება. საჭიროების შემთხვევაში მოხდა ძირითადი კითხვების ადაპტირება მუნიციპალიტეტის კონტექსტის შესაბამისად. გაკეთდა ფოკუსჯგუფის საუბრის აუდიო-ჩანაწერი. კვლევის შედეგების ანალიზის მიზნით, ფოკუსჯგუფის აუდიო-ჩანაწერის შესაბამისად გაკეთდა ტრანსკრიპტები.

კვლევის დასკვნით ნაწილში, ძირითადი შედეგების სახით მოცემულია თვისებრივი ინფორმაციის ანალიზით მიღებული დასკვნები.

1. ონლაინ გამოკითხვა – I ეტაპი

2019 წელს, მცხეთა-მთიანეთის რეგიონულმა ჰაბმა „უკეთესი მომავლისათვის“ ჩაატარა ონლაინ გამოკითხვა, რომელიც მიზნად ისახავდა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში არსებული სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სათემო ორგანიზაციების საჭიროებების გამოკვლევას.

ონლაინ გამოკითხვის შედეგად მივიღეთ ინფორმაცია რეგიონში არსებული ორგანიზაციების შესახებ: საკონტაქტო ინფორმაცია, სამუშაო არეალი, თანამშრომელთა და მოხალისეთა რაოდენობა; მისიის განაცხადი და ხედვა; მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; 2017-2018 წლის ბიუჯეტი და 2019 წელს დაგეგმილი პროექტები. საერთო ჯამში ონლაინ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო **18 ორგანიზაციამ**;

წინამდებარე ანგარიშის პირველ ნაწილში განხილულია ონლაინ გამოკითხვით მიღებული ძირითადი დასკვნები შემდეგი თემების შესახებ:

- სამუშაო არეალი;
- საქმიანობის სფერო (ორგანიზაციის ხედვა და მისია);
- სათემო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები სოციალურ ქსელში;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- ბიუჯეტი;
- 2019-2020 წლის პროექტები;
- თანამშრომელთა რაოდენობა;

1.1. სამუშაო არეალი

ონლაინ გამოკითხვის შედეგად მიღებული პასუხების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ კვლევაში მონაწილე რესპონდენტების **11%** (2 ორგანიზაცია) ახორციელებს თავის საქმიანობას მცხეთის მუნიციპალიტეტში, ასეთივე მაჩვენებელია თიანეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში; გამოკითხულთა **39%** (7 ორგანიზაცია) მიუთითებს დუშეთის მუნიციპალიტეტს საკუთარი საქმიანობის ადგილად, რესპონდენტთა **6%** (1 ორგანიზაცია) მუშაობს მხოლოდ ახალგორის მუნიციპალიტეტში; კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების **32%** (6 ორგანიზაცია) აღნიშნავს რომ საქმიანობას ახორციელებს სრულიად მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, ხოლო რესპონდენტთა **22%** (4 ორგანიზაცია) საქმიანობას მცხეთა-მთიანეთის პარალელურად ახორციელებს საქართველოს სხვა რეგიონებშიც;

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ონლაინ გამოკითხვაში მონაწილე ორგანიზაციებიდან დუშეთის მუნიციპალიტეტში ყველაზე მეტი ახორციელებს საკუთარ საქმიანობას, ხოლო ახალგორის მუნიციპალიტეტში ყველაზე ნაკლები;

1.2. საქმიანობის სფერო (ორგანიზაციების ხედვა და მისია)

ონლაინ გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში არსებული ორგანიზაციების საქმიანობის პრიორიტეტული სფეროები:

- ადამიანის უფლებების დაცვა და რეგიონში არსებული სოციალური პრობლემების ადვოკატირება;
- ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობა და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება;
- კულტურული და ინტელექტუალური მიმართულებების გაძლიერება, განათლების ხელშეწყობა და სტიმულირება;
- ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში თემის წევრების მონაწილეობის წახალისება;
- დევნილების სოციალურად დაუცველების მხარდაჭერა და გაძლიერება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პრობლემების ადვოკატირება;
- სასოფლო-სამეურნეო თემების მდგრადი განვითარების ხელშეწყობა და გარემოს დაცვითი საქმიანობები;
- მთიანი სოფლების მაცხოვრებელთა ეკონომიკური გაძლიერება და მათი სამოქალაქო პროცესებში აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა;
- მთიან რეგიონში სოციალური, კულტურული და სამეცნიერო გარემოს გაუმჯობესება, ეთნო-კულტურული ისტორიული წარსულის წარმოჩინება და პოპულარიზაცია;

1.3. სათემო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები სოციალურ ქსელში

რესპონდენტთა პასუხების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ გამოკითხულ ორგანიზაციათა **17%** (3 ორგანიზაცია) არ აქვს არც facebook გვერდი და არც ვებ-გვერდი, **60%-ს** (11 ორგანიზაცია) აქვს მხოლოდ ფეისბუქის გვერდი და ერთ ორგანიზაციას მხოლოდ საიტი. (აღნიშნულ ორგანიზაციას წარმოადგენს თბილისში არსებულ ოფისს, რომელსაც არ აქვს რეგიონული ოფისის ფეისბუქ გვერდი, თუმცა კითხვარში მითითებული აქვს სათაო ოფისის საიტი). გამოკითხულ რესპონდენტთა **17%** (3 ორგანიზაცია) არის ისეთი, რომელსაც აქვს ორგანიზაციის როგორც ფეისბუქი, ასევე ვებ-გვერდი.

მიღებული შედეგების შემდგომ ჩავატარეთ მცირე მედია-ანალიზი მათ სოციალურ გვერდებზე და აღმოჩნდა, რომ რესპონდენტთა 50%-ს აქვს გაზიარებული ან გამოქვეყნებული რაიმე ტიპის სიახლე სოციალურ ქსელში 2019 წლის განმავლობაში, ხოლო დანარჩენის სოციალური აქტივობა 2013-2017 წლებში წყდება.

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ უმეტეს შემთხვევაში სოციალურ ქსელში აქტიურობის მაჩვენებელი არის საკმაოდ დაბალი მცხეთა-მთიანეთში არსებული სათემო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის.

1.4. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

ონლაინ გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა, რომ ორგანიზაციები ფლობენ მატერიალურ რესურსებს ქვემოთ მოცემული პროცენტული რაოდენობის შესაბამისად. პროცენტული მაჩვენებელი მიუთითებს იმას, თუ გამოკითხული 18 ორგანიზაციიდან

რამდენმა პროცენტმა მონიშნა კონკრეტული რესურსი, როგორც ორგანიზაციის საკუთრება **ცხრილი #1 -საოფისე რესურსების არსებობა ორგანიზაციებში**

რესურსი	ორგანიზაციათა რამდენი % ფლობს	ორგანიზაციათა რამდენი % არ ფლობს
კომპიუტერი	78% (14 ორგანიზაცია)	22% (4 ორგანიზაცია)
ქსეროქსი	50% (9 ორგანიზაცია)	50% (9 ორგანიზაცია)
ინტერნეტი	67% (12 ორგანიზაცია)	33% (6 ორგანიზაცია)
ვიდეოპროექტორი	39% (7 ორგანიზაცია)	61% (11 ორგანიზაცია)
ოფისი/ოთახი შეხვედრებისთვის	72% (13 ორგანიზაცია)	28% (5 ორგანიზაცია)
ფოტოაპარატი	39% (7 ორგანიზაცია)	61% (11 ორგანიზაცია)
ავტომანქანა	17% (3 ორგანიზაცია)	83% (15 ორგანიზაცია)
სხვა	44% (8 ორგანიზაცია)	56% (10 ორგანიზაცია)

ონლაინ გამოკითხვაში მიღებული პასუხების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ რესპონდენტთა **17% (3 ორგანიზაცია)** არ ფლობს ჩამონათვალიდან არცერთი სახის მატერიალურ რესურსს, ხოლო ორგანიზაციათა **6% (1 ორგანიზაცია)** ფლობს ჩამოთვლილთაგან ყველა სახის რესურსს. ორგანიზაციათა უმრავლესობას აქვს კომპიუტერი - **78% (14 ორგანიზაცია)** და ოფისი ან ოთახი შეხვედრებისთვის - **72% (13 ორგანიზაცია)**.

1.5. ბიუჯეტი

გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ რესპონდენტი ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2017-2018 წლების განმავლობაში. მონაცემთა ანალიზის მიხედვით 2017 წლის განმავლობაში, რესპონდენტ ორგანიზაციათა **56%-ის (10 ორგანიზაცია)** წლიური ბიუჯეტი შეადგენდა **0 ლარს**. ხოლო, **8 ორგანიზაციის** ბიუჯეტი, რომელთაც 2017 წლის განმავლობაში ჰქონდა დაფინანსება, მერყეობს **7000-545 000 ლარის** ფარგლებში, **25 000 ლარის** ფარგლებში და დაფინანსებას ვხვდებით ორგანიზაციების უმეტესობაში (4 ორგანიზაცია).

რაც შეეხება 2018 წლის მონაცემებს, რესპონდენტ ორგანიზაციათა **44%-ის (8 ორგანიზაცია)** წლიური ბიუჯეტი შეადგენდა **0 ლარს**. ხოლო, **10 ორგანიზაციის** ბიუჯეტი, რომელთაც 2018 წლის განმავლობაში ჰქონდა დაფინანსება მერყეობს **5000-385 000 ლარის** ფარგლებში, **35 000 ლარის** ფარგლებში და დაფინანსებას ვხვდებით ორგანიზაციების უმეტესობაში (4 ორგანიზაცია).

საერთო ჯამში, 2017-2018 წლის განმავლობაში, რესპონდენტ ორგანიზაციათა **50%-ს** არ ჰქონია არანაირი დაფინანსება მიღებული. იმ ორგანიზაციებიდან, რომლებსაც ჰქონდათ 2017-2018 წლის განმავლობაში ბიუჯეტი, ძირითად დაფინანსების

წყაროს წარმოდგენდა საერთაშორისო დონორები, შემდეგ დაფინანსების სხვა წყაროები და ბოლოს ბიზნესი ან სოციალური მენარმეობა.

ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ერთ-ერთმა ორგანიზაციამ მიუთითა სათაო ოფისის სრული ბიუჯეტი (3.933.103.00 ლარი), რომელიც კვლევის შედეგების საშუალოს გამოთვლის დროს არ იქნა გათვალისწინებული, იქიდან გამომდინარე რომ რეგიონში არსებულ სურათს რადიკალურად შეცვლიდა.

1.6. 2019 წლის პროექტები

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ გამოკითხვაში მონაწილე 18 ორგანიზაციიდან მხოლოდ 4 ორგანიზაციას ჰქონდა 2019-2020 წლის განმავლობაში დაგეგმილი პროექტი, ხოლო დანარჩენ 14 ორგანიზაციას არ ჰქონდა დაფინანსებული პროექტები.

1.7. თანამშრომელთა რაოდენობა

რესპონდენტთა პასუხების მიხედვით, გამოიკვეთა რომ **18** ორგანიზაციას ჰყავს საერთო ჯამში 99 თანამშრომელი, აქედან თანამშრომელთა **65%** (64 ადამიანი) არის მდებდრობითი სქესის წარმომადგენელი, ხოლო **35%** (35 ადამიანი) მამრობითი სქესის წარმომადგენელი.¹

ონლაინ გამოკითხვის შედეგად, დადგინდა, რომ 18 ორგანიზაციას საერთო ჯამში ჰყავს **88** მოხალისე, აქედან 88 მოხალისე (**93%**) არიან ადგილობრივი მოხალისეები, ხოლო 6 მოხალისე **7%** საერთაშორისო მოხალისეა.

¹ მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ჰაბის შენიშვნა: იმის გათვალისწინებით რომ მიმდინარე პროექტი მხოლოდ კვლევის ჩატარების დროს მხოლოდ ოთხ ორგანიზაციას ჰქონდა, არალოგიკურად გვეჩვენება 99 თანამშრომლის არსებობა მცხეთა-მთიანეთში არსებულ სათემო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. იმის გათვალისწინებით, რომ კვლევის პირველი ეტაპი ონლაინ გამოკითხვას მოიცავდა რთული იყო აღნიშნული საკითხის დაზუსტება. ამიტომ ვტოვებთ იმ რაოდენობას, რომელიც მოგვანოდეს კვლევის რესპონდენტებმა, თუმცა, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ რომ 99 თანამშრომელი არარეალური მაჩვენებელია.

2. ფოკუს ჯგუფების ანალიზი – II ეტაპი

2020 წელს, მცხეთა-მთიანეთის რეგიონულმა ჰაბმა ჩატარდა 5 ფოკუსჯგუფი შემდეგ ლოკაციებზე: ახალგორის დევნილი მუნიციპალიტეტი, მცხეთის მუნიციპალიტეტი, დუშეთის მუნიციპალიტეტი, თიანეთის მუნიციპალიტეტი, ყაზბეგის მუნიციპალიტეტი. თითოეული ფოკუსჯგუფი გრძელდებოდა საშუალოდ 90 წუთის განმავლობაში და მიმდინარეობდა ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუ მონაწილეებს შორის დისკუსიის წარმართვის მიზნით. პროცესს ხელმძღვანელობდა ორი ფასილიტატორი, რომლებმაც წინასწარ მოამზადეს იმ თემების სახელმძღვანელო, რომლის დაფარვაც იყო გამიზნული ფოკუსჯგუფის დროს. საჭიროების შემთხვევაში მოხდა ძირითადი კითხვების ადაპტირება მუნიციპალიტეტის კონტექსტის შესაბამისად. გაკეთდა ფოკუსჯგუფის საუბრის აუდიო ჩანაწერი. კვლევის შედეგების ანალიზის მიზნით, გაკეთდა აუდიო ჩანაწერის ტრანსკრიპტები.

ანგარიშის ამ ნაწილში განხილულია შემდეგი ძირითადი თემები:

- ფოკუსჯგუფის მონაწილეთა დემოგრაფიული მაჩვენებლები;
- სათემო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნის მოტივაცია და მოლოდინები;
- მიმდინარე პროექტები და დონორი ორგანიზაციები;
- ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან და ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობის გამოცდილება;
- ორგანიზაციების ძლიერი მხარეების, სუსტი მხარეების, შესაძლებლობების, საფრთხეების ანალიზი და რეკომენდაციები;
- კვლევის ძირითადი შედეგები;

ფოკუსჯგუფების მეშვეობით შესაძლებელი გახდა მნიშვნელოვანი ცოდნის მიღება მცხეთა-მთიანეთის სათემო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მდგომარეობისა და საჭიროებების შესახებ, რომელიც დაინტერესებული მხარეების მიერ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემდგომი საქმიანობისა და ინიციატივებისთვის ფარგლებში, ახალი ხედვის შექმნის მიზნით და წარმოდგენილი შედეგები შესაძლოა გამოყენებულ იქნას, როგორც კვლევაზე დაფუძნებული მტკიცებულებები.

3. ფოკუსჯგუფების მონაწილეთა დემოგრაფიული მაჩვენებლები

სამიზნე ლოკაციებს წარმოადგენდნენ დუშეთის, მცხეთის, თიანეთის, ყაზბეგის და ახალგორის დევნილი მუნიციპალიტეტები. საერთო ჯამში ფოკუსჯგუფში მონაწილეობა მიიღო **31 ადამიანი**, აქედან 23 რესპონდენტი (75%) წარმოადგენდა სათემო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას, ხოლო 8 რესპონდენტი (25%) საჯარო სექტორის წარმომადგენლები იყვნენ, კერძოდ ადგილობრივი მუნიციპალიტეტი, სკოლა ან საბავშვო ბაღი. როგორც აღინიშნა 23 ადამიანი იყო სათემო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი, თუმცა საერთო ჯამში წარმოდგენილი იყო **16 საზოგადოებრივი ან სათემო ორგანიზაცია**, იქიდან გამომდინარე, რომ ერთ ფოკუსჯგუფზე რიგ შემთხვევაში ერთი და იმავე ორგანიზაციიდან წარმოდგენილი იყო ორი ან მეტი წევრი.

ცხრილი #1. კვლევის მონაწილეები მუნიციპალიტეტებისა და ორგანიზაციების მიხედვით


	რესპონდენტი	ორგანიზაცია ² (CSO,CBO)
ახალგორის მუნიციპალიტეტი	8 (26%)	2 (13%)
მცხეთის მუნიციპალიტეტი	6 (19%)	5 (31%)
დუშეთის მუნიციპალიტეტი	9 (29%)	6 (38%)
თიანეთის მუნიციპალიტეტი	5 (16%)	1 (6%)
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	3 (10%)	2 (13%)
სულ	31 (100%)	16 (100%)

ცხრილი #1 გვიჩვენებს, რომ კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუსჯგუფების მონაწილეთა 29% (9 მონაწილე) წარმოადგენდა დუშეთის მუნიციპალიტეტს, 26% (8 მონაწილე) - ახალგორის მუნიციპალიტეტს, 19% (6 მონაწილე) - მცხეთის მუნიციპალიტეტს, 16% (5 მონაწილე) თიანეთის მუნიციპალიტეტს, ხოლო 10% (3 მონაწილე) ყაზბეგის მუნიციპალიტეტს. რაც შეეხება, კვლევაში მონაწილე სათემო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების პროცენტულ გადანაწილებას მუნიციპალიტეტების მიხედვით საერთო ჯამში წარმოდგენილი 16 ორგანიზაციიდან - 38% (6 ორგანიზაცია) იყო დუშეთის მუნიციპალიტეტიდან, 31% (5 ორგანიზაცია) - მცხეთის მუნიციპალიტეტიდან, 13% (2 ორგანიზაცია) - ახალგორის მუნიციპალიტეტიდან და ასევე, 13% (2 ორგანი-

² აღნიშნულ გრაფაში წარმოდგენილი მაჩვენებლები მუნიციპალიტეტების მიხედვით მიუთითებს იმას თუ საერთო ჯამში რამდენმა სათემო ან საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ მიიღო მონაწილეობა, თუმცა განსხვავდება რესპონდენტთა საერთო მაჩვენებლისგან იმის გამო, რომ ერთი ორგანიზაციიდან რიგ შემთხვევაში ორი წარმომადგენელი ესწრებოდა ფოკუსჯგუფს.

ზაცია) ყაზბეგის მუნიციპალიტეტიდან, ხოლო 6% (1 ორგანიზაცია) იყო წარმოდგენილი თიანეთის მუნიციპალიტეტიდან.

კვლევის მონაწილეთა შორის მუნიციპალიტეტების მიხედვით არსებული რაოდენობრივი არაერთგვაროვნება იხსნება იმ ფაქტით, რომ ერთი მხრივ ზოგადად მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი სამოქალაქო და სათემო ორგანიზაციები, ხოლო მეორე მხრივ, კონკრეტული მუნიციპალიტეტები საკმაოდ განსხვავდება რეგისტრირებული, თუ მოქმედი ორგანიზაციების რაოდენობის მიხედვით.



დიაგრამა #1-ის მიხედვით, კვლევის მონაწილეთა 75% (23 ადამიანი) იყო სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი, აქ მოიაზრება როგორც სათემო, ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციები. 25%, ანუ 8 ადამიანი იყვნენ საჯარო სექტორის წარმომადგენლები, აქ მოიაზრება ადგილობრივი მუნიციპალიტეტი, საჯარო სკოლა და საბავშვო ბაღი.³ სამოქალაქო სექტორის და საჯარო სექტორის მონაწილეთა დეტალური ანალიზი მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ

დიაგრამებზე თითოეული მუნიციპალიტეტის მიხედვით.


ცხრილი #2: ფოკუსგუფის მონაწილეების შედარება სამოქალაქო და საჯარო სექტორის მიხედვით მუნიციპალიტეტების ჭრილში

მუნიციპალიტეტი	სამოქალაქო სექტორი მონაწილეთა რაოდენობა	საჯარო სექტორი მონაწილეთა რაოდენობა
ახალგორის მუნიციპალიტეტი	6 (75%)	2(25%)
მცხეთის მუნიციპალიტეტი	5 (83%)	1(17%)
დუშეთის მუნიციპალიტეტი	8 (89%)	1 (11%)
თიანეთის მუნიციპალიტეტი	1 (20%)	4 (80%)
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	3 (100%)	0 (0%)
სულ	23 (75%)	8 (25%)

³ აღნიშნული საჯარო სექტორის წარმომადგენლები გარკვეული ფორმით თანამშრომლობენ სათემო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, შესაბამისად მათ ჰქონდათ შესაბამისი ცოდნა საკვლევ საკითხთან დაკავშირებით და ამის გამო გადაწყდა მათი მონაწილეობა ფოკუსგუფებში. საჯარო სექტორის წარმომადგენლების ჩართვის საჭიროება გახდა იქიდან გამომდინარე, რომ კონკრეტულ მუნიციპალიტეტში არ იყო საკმარისი რაოდენობის სათემო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ფოკუსგუფის ჩატარება.


ცხრილი #2 გვიჩვენებს, ფოკუსჯგუფის სამოქალაქო და საჯარო სექტორი მონაწილეების პროცენტულ შედარებას მუნიციპალიტეტების ჭრილში. მოცემული მაჩვენებლების მიხედვით, ახალგორის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ ფოკუსჯგუფს ესწრებოდა 8 ადამიანი, ამათგან 6 (75 %) იყო სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი, ხოლო 2(25%) საჯარო სექტორის. მცხეთის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ ფოკუსჯგუფს ესწრებოდა 6 ადამიანი, რომელთაგან 5 (83%) იყო სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი და 1 (17%) - საჯარო სექტორის წარმომადგენელი. დუშეთის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ ფოკუსჯგუფს ესწრებოდა 9 ადამიანი, რომელთაგან 8 (89%) იყო სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი და 1 (11%) - საჯარო სექტორის წარმომადგენელი. თიანეთის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ ფოკუსჯგუფს ესწრებოდა 5 ადამიანი, ამათგან 1 (20 %) იყო სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი, ხოლო 4(80%) საჯარო სექტორის. ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ ონლაინ ფოკუსჯგუფს ესწრებოდა 3 ადამიანი, სამივე მათგანი წარმოადგენდა სამოქალაქო სექტორს. საჯარო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა განაწილება მუნიციპალურ ჭრილში დეტალურად იხილეთ დიაგრამა #2 და დიაგრამა #3-ზე.

დიაგრამა #2: სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელ რესპონდენტთა პროცენტული განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით



დიაგრამა #2 გვიჩვენებს, რომ კვლევაში მონაწილე რესპონდენტებიდან 23 მათგანი წარმოადგენდა სამოქალაქო სექტორს, რომელთაგან 35% (8 ადამიანი) იყო დუშეთის მუნიციპალიტეტიდან, 26% (6 ადამიანი) - ახალგორის მუნიციპალიტეტიდან, 22% (5 ადამიანი) - მცხეთის მუნიციპალიტეტიდან, 9% (3 ადამიანი) - ყაზბეგის მუნიციპალიტეტიდან და 4% (1 ადამიანი) თიანეთის მუნიციპალიტეტიდან.

დიაგრამა #3: საჯარო სექტორის წარმომადგენელ რესპონდენტთა პროცენტული განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით



დიაგრამა #3 გვიჩვენებს, რომ კვლევაში მონაწილე რესპონდენტებიდან 8 მათგანი წარმოადგენდა საჯარო სექტორს, (ადგილობრივი მუნიციპალიტეტი-4, საჯარო სკოლა -3, ბაგა-ბაღი-1) რომელთაგან 50% (4 ადამიანი) იყო თიანეთის მუნიციპალიტეტიდან, 25% (2 ადამიანი) - ახალგორის მუნიციპალიტეტიდან, 13% (1 ადამიანი) - მცხეთის მუნიციპალიტეტიდან, 13% (1 ადამიანი) - ყაზბეგის მუნიციპალიტეტიდან და 4% (1 ადამიანი) თიანეთის მუნიციპალიტეტიდან.

4. სათემო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის შექმნის მოტივაცია და მოლოდინები

აღნიშნულ ბლოკში გაანალიზდა რესპონდენტების პასუხები იმის შესახებ თუ რა მოლოდინები და მოტივაცია ჰქონდათ როდესაც აფუძნებდნენ სათემო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ან მუშაობას იწყებდნენ აღნიშნულ სექტორში. ამავე ბლოკში გაანალიზდა, მიმდინარე გადმოსახედიდან როგორ აფასებენ მოლოდინებს, რომელიც საქმიანობის დასაწყისში ჰქონდათ.

- სათემო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის დაარსების მოტივაცია;
- მოლოდინების შეფასება ახლანდელი პერსპექტივიდან;

მიღებული ინფორმაციის გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა ორგანიზაციების დაარსების რამოდენიმე მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორი:

1. ორგანიზაცია შეიქმნა, იმის გამო, რომ დამფუძნებლებს ჰქონდათ სურვილი გაეუმჯობესებინათ ადგილობრივ თემში არსებული მდგომარეობა;
2. ორგანიზაცია დაფუძნდა, პირადი ცოდნა და ექსპერტიზის გაზიარების მოტივით;
3. დაფუძნდა უკვე არსებული ორგანიზაციის პროექტის ფარგლებში, როგორც ადგილობრივი პარტნიორი ორგანიზაცია;
4. საგრანტო ვონკურსში მონაწილეობის შესაძლებლობის მიღებისათვის;
5. ორგანიზაცია შეიქმნა, სახელმწიფო პროგრამებთან თანამშრომლობის შედეგად;
6. წარმოადგენს თბილისში არსებული ან საერთაშორისო ორგანიზაციის რეგიონულ ფილიალს;

მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ორგანიზაციათა 69%, /11 ორგანიზაცია დადებითად აფასებს იმ მოლოდინების რეალობაში განხორციელებას, რომლებიც დაფუძნების დროს ჰქონდათ, შესაბამისად თვლიან რომ გარკვეულწილად მიაღწიეს დასახულ მიზნებს, 31% /5 ორგანიზაცია ფიქრობს რომ უფრო მეტი მოლოდინი ჰქონდათ, ვიდრე რეალობაში განახორციელეს, შესაბამისად თვლიან რომ ორგანიზაცია სათანადოდ ვერ ამუშავეს.

4.1. ახალგორის მუნიციპალიტეტი

- ორგანიზაციის დაფუძნების მოტივაცია

ახალგორის მუნიციპალიტეტში ჩატარებული ფოკუს-გუფის შედეგების ანალიზით იკვეთება, რომ ორგანიზაციის შექმნის მოტივი იყო თემში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება. „როდესაც წამოვედი საჯარო სამსახურიდან ვიცოდი, რომ შესასრულებელი მისიები მქონდა დარჩენილი და გადავწყვიტე გამეგრძელებინა არასამთავრობო სექტორში მოღვაწეობა, ასე დავაარსე ორგანიზაცია.“ ასევე ერთ-ერთი

ორგანიზაციის წარმომადგენელი აღნიშნავს პირად ინტერესებს თემის მიმართ, „*ძირითადი მოტივი და დაინტერესება იყო ინტერესი დევნილთა თემის მიმართ.*“

ფოკუსჯგუფის სხვა წევრები, რომლებსაც არ დაეფუძნებინათ სათემო ან საზოგადოებრივი ორგანიზაცია, თუმცა, აქვთ ამ სექტორში მუშაობის გამოცდილება აღნიშნავენ, რომ ძირითადი მოტივაცია იყო განვითარების შესაძლებლობა. „*ორგანიზაციაში მუშაობის ჩემი ძირითადი მოტივაცია არის პიროვნული და ინდივიდუალური განვითარება;*“ „*ჩემი მოტივაცია იყო საკუთარი თავის ინფორმირებულობა და სხვადასხვა თემების შესახებ საინტერესო ინფორმაციის მიღება, რის შესაძლებლობასაც მაძლევდა ორგანიზაცია.*“

ახალგორის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ ფოკუსჯგუფს ესწრებოდა 2 წარმომადგენელი საჯარო სექტორიდან და მათ მოტივაციას წარმოადგენდა თემის ცვლილებებში აქტიური მონაწილეობა: „*იმის მიუხედავად რომ, მეც ვარ საჯარო მოხელე, ყოველთვის ვცდილობ, როგორც სამსახურებრივად, ასევე პირადად ჩავერთო და ხელი შევუწყო თემში სამოქალაქო საზოგადოებრივი აქტივობების განხორციელებას, რადგან ვხედავ რეალურ ცვლილებებს და ეს მაძლევს მოტივაციას;*“ „*ადგილობრივ თვითმმართველობაში ვმუშაობ, თუმცა, ძალიან საამაყოა ჩემთვის რომ შემიძლია ისეთი პროექტები გავაკეთო, რომელიც თემს გამოაცოცხლებს და სიტუაციას უკეთესობისკენ შეცვლის - ეს არის ჩემი მოტივაცია.*“

• **მოლოდინების შეფასება**

ახალგორის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ ფოკუსჯგუფს ორი არასამთავრობო ორგანიზაციის დამფუძნებელი ესწრებოდა და ორივე მათგანი თვლის, რომ გაცილებით მეტი მოლოდინები ჰქონდათ ორგანიზაციის შექმნის პროცესში, ვიდრე ეს რეალურად განახორციელეს. „*რაც შეეხება მოლოდინებს, მოლოდინი მექონდა რომ ადვოკატირების კამპანიები განმეხორციელებინა, სიმართლე გითხრათ მეტი მოლოდინი მექონდა, მაგრამ კონკურენცია ძალიან დიდია, დისბალანსი გახდა არასამთავრობო ორგანიზაციების რაოდენობასა და დონორების დასაფინანსებელ პროექტებს შორის. მე ვფიქრობ, ეს შესაძლოა ჩვენი ბრალიც იყო, ეს მოლოდინი რომ ვერ გავამართლეთ. სუბიექტური მიზეზებიც იყო, ბოლომდე არ ვიყავით მობილიზებული...*“ მეორე ორგანიზაციის წარმომადგენელი ფიქრობს: „*მოლოდინი იყო ის, რომ მაქსიმალურად ბევრ აქტივობას გავაკეთებდით, თუმცაღა, იმის გამო რომ სწორად გათვლილი სტრატეგია არ გვქონდა, გარკვეული დროით მოგვიწია შეჩერება და ამოვიწურეთ ფინანსურად.*“

უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო სექტორის წარმომადგენლები ან სამოქალაქო სექტორში დასაქმებული ადამიანები, რომლებიც ესწრებოდნენ ახალგორის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ ფოკუსჯგუფს დადებითად აფასებენ საკუთარი მოლოდინების რეალობაში განხორციელებას, რესპონდენტები, რომლებმაც მუშაობა დაიწყეს სამოქალაქო სექტორში იმ მოლოდინით რომ პიროვნული და პროფესიული განვითარება შესაძლებლად, აღნიშნულ მიზანს მიაღწიეს.

4.2. მცხეთის მუნიციპალიტეტი

• ორგანიზაციის დაფუძნების მოტივაცია

მცხეთის მუნიციპალიტეტში ჩატარებული ფოკუსჯგუფის შედეგების ანალიზით იკვეთება, რომ ორგანიზაციის შექმნის მიზნები ერთი ორგანიზაციის შემთხვევაში იყო თემში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების სურვილი. *„დავაფუძნე იმის გამო, რომ ძირითადად ახალგაზრდებზე მექონდა აქცენტი, რადგანაც ვხედავდი ყოველ ნაბიჯზე, რომ მათი ჩართულობა, სამოქალაქო ცნობიერება, აქტიურობა თემში, გადანაცვლებების მიღების პროცესში ჩართულობა იყო დაბალი და ამ მიმართულებით მინდოდა, რომ ემუშავა ორგანიზაციას“*

ასევე, ერთ შემთხვევაში იყო დაფუძნების მოტივი პირადი ცოდნისა და ექსპერტიზის გაზიარება მუნიციპალიტეტის მასშტაბით. *„სამიზნე მაინც ქალები და ბავშვები არიან, უფლებები და ჯანმრთელობის უფლებების მიმართულებით ვმუშაობთ. ვთვლიდი, რომ არასამთავრობო სექტორი და მოქალაქეები ძალიან მოიკოჭლებდნენ ამ მიმართულებით და თან ჩემთვის საინტერესო სფერო იყო, გამოცდილება მექონდა, კონტაქტები მყავდა და ასევე, გარშემო მყავდა ისეთი ადამიანები, რომლებსაც ჰქონდათ სურვილი, რომ მსგავსს თემებზე გვემუშავა.“*

მცხეთის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი ორგანიზაციის დაარსების ხელშემწყობი ფაქტორი იყო რეგიონში მიმდინარე მსხვილი პროექტი, რომლის პარტნიორად ჩამოყალიბდა აღნიშნული ადგილობრივი ორგანიზაცია. *„ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობა 2001 წელს დაიწყო, ეუთო ახორციელებდა საქართველოს რეგიონებში პროექტს ქალთა გაძლიერებაზე, ჩართულები იყვნენ სხვადასხვა ორგანიზაციები, გვატრენინგებდნენ, გვასწავლიდნენ და აქედან წამოვიდა საჭიროება რომ შექმნილიყო ორგანიზაცია, რომელიც იმუშავებდა ქალის უფლებებზე, ოჯახში ძალადობაზე, ბავშვთა უფლებებზე და ახალგაზრდების ჩართვაზე გადანაცვლებების მიღების პროცესში.“*

გარდა ამისა, მცხეთის მუნიციპალიტეტში ჩატარებული ფოკუსჯგუფის მიხედვით ორი ორგანიზაცია შეიქმნა სახელმწიფოსთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად, რაც ნიშნავს იმას, რომ ექსპერტთა გარკვეულმა ჯგუფმა, რომელიც მუშაობდა სახელმწიფოს კონკრეტული პროგრამის შექმნაზე, გადანაცვიტეს დაეფუძნებინათ საზოგადოებრივი ორგანიზაცია და ამ ფორმით გაეგრძელებინათ დამოუკიდებლად მუშაობა. *„ამ პროგრამაზე მუშაობის დროს ურთიერთობა გვინევდა სამინისტროებთან, სხვადასხვა პიროვნებებთან, სტეიქჰოლდერებთან, ფერმერებთან და სხვებთან, ვხედავდით, რომ აბსოლუტურ უმრავლესობას რაღაც რესურსი ჰქონდა და არ იცოდა რა გაეკეთებინა, როგორ გაეკეთებინა და სხვას ელოდა, და სწორედ აქ შეიქმნა იდეა, რომ ხომ არ შევქმნათ ორგანიზაცია, რომელიც კონსულტაციას გაუწევს ამ მცირე ფერმერებს, საოჯახო მეურნეობებს და ბიზნეს წამოწყებებს წაახალისებს.“*

მცხეთის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ ფოკუსჯგუფს ესწრებოდა საჯარო სექტორიდან ერთი წარმომადგენელი, რომელიც აღნიშნავს, რომ თემში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება არის ის მთავარი მოტივაცია, რის გამოც აქტიურად თანამშრომლობს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან *„ინტერესი იყო ჩემი, რომ რაღაც შეგვეთავაზებინა დასახლებისთვის.“*

- **მოლოდინების შეფასება**

მცხეთის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ ფოკუსჯგუფში მონაწილეობას საერთო ჯამში 5 საზოგადოებრივი ან სათემო ორგანიზაცია იღებდა. მათგან, 3 ორგანიზაცია თვლის, რომ გამართლდა ის მოლოდინები, რაც ჰქონდათ „ვერ ვიტყვი, რომ არ გამართლდა მოლოდინები, მგონია რომ ძალიან კარგი შედეგია ასეთი პატარა ორგანიზაციისთვის. და ვთვლით, რომ ეს ჩვენი პროექტებით განხორციელებული საქმიანობა, ბავშვთა უფლებები, ქალთა უფლებები, მათი სოციალური გაძლიერება და ჯანმრთელობის უფლებების დაცვა ნამდვილად დგას დღის წესრიგში და ამაზე მუშაობის საჭიროება ნამდვილად არის“. ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ „გარკვეულ წილად გამართლდა მოლოდინები, მარა გვაქვს მთელი რიგი სირთულეები და გეგმები. ჩემთვის პირადად არის დიდად სასიამოვნო, როდესაც ვუყურებ პირადად, რასაც ჩვენ 15 წლის წინ ვაკეთებდით დღესაც ატაცებულია“ ასევე დადებითად აფასებს მოლოდინებს კიდევ ერთი ორგანიზაციის წარმომადგენელი „მე შევაფასებ, რომ მოლოდინი რაც იყო ძალიან კარგად გამართლდა, ეს საქმე იყო შინაგანად ჩვენი, კარგად ვახორციელებდით პროექტებს რეგიონის მასშტაბით და შედეგებიც კარგი გვქონდა, როდესაც პროექტები იყო. სანამ ეუთო არ გავიდა საქართველოდან მანამ სტაბილურად ვმუშაობდით, მერე ხან გვქონდა პროექტები ხან არა, სანამ გვქონდა პროექტები შედეგიც იდებოდა.“

მცხეთის მუნიციპალიტეტში ჩატარებული ფოკუსჯგუფის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ორი ორგანიზაცია დადებითად არ აფასებს იმ მოლოდინების განხორციელებას, რაც ორგანიზაციის შექმნისას ჰქონდათ. „სამწუხაროდ ხო სურვილებსა და მიზნებს შორის და რეალობას შორის, ისე არაა როგორც გვინდა.“ „მე ვფიქრობ რომ სათანადოდ არ მივაქციე ყურადღება და ვერ ვამუშავე. გაჩერდა ის მიზნები რაც მქონდა და გვქონდა დასახული, და მოლოდინებიც როგორ გამართლდებოდა.“

მცხეთის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ ფოკუსჯგუფს, საჯარო სექტორიდან ერთი წარმომადგენელი ესწრებოდა, რომელიც მისი მოლოდინების რეალობაში განხორციელებას დადებითად აფასებს და თვლის, რომ სამოქალაქო ორგანიზაციებთან თანამშრომლობამ ბევრი დადებითი ცვლილება მოუტანა მის თემს.

4.3. დუშეთის მუნიციპალიტეტი

- **ორგანიზაციის დაფუძნების მოტივაცია**

დუშეთის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ ფოკუსჯგუფში წარმოდგენილი იყო 6 ორგანიზაცია. აქედან უმეტესობის, კერძოდ 4 ორგანიზაციის შექმნის მოტივაცია ადგილობრივი საკითხების მოგვარება და თემის განვითარება იყო. „ჩვენი მოტივაცია იყო შავი ხვრელების ამოვსება. რასაც საზოგადოება მოითხოვდა, რასაც ხელისუფლება არ აკეთებდა.“ გარდა ამისა, ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ „სურვილი გაჩნდა იქიდან, რომ დუშეთში ჯერ არ გვქონდა ორგანიზაცია და ვიფიქრეთ მოდი დავარეგისტრიროთ ორგანიზაცია და დავინყოთ დუშეთში რენვის ოსტატების მოძიება და ტურიზმის მიმართულების განვითარება“. ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ „გვინდოდა და გვინდა ვიმუშაოთ ეკოლოგიური კუთხით. ეს არის ჩვენი უბედურება ამ კუთხითაც და მთლიანად საქა-

რთველოსიც. დასუფთავების ამბავი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ამბავი ყურადღებასიწვევია. ერთია, რომ შენდება და მეორე, რომ არ ვუფრთხილდებით და არ ვიყენებთ.“

დუშეთში ჩატარებულ ფოკუსჯგუფს ესწრებოდნენ საერთაშორისო ორგანიზაციის რეგიონული ოფისის წარმომადგენლები, რომელთა წარმომადგენლებსაც ვკითხეთ თუ რა იყო მოტივაცია, როდესაც ამ ორგანიზაციაში მივიდნენ მუშაობის დასაწყებად, გამოიკვეთა, რომ ძირითადი მოტივაციას თემის მიმართ ინტერესი წარმოადგენდა. „ჩემი აქ მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მოტივაცია იყო ის, რომ ჩვენი მთავარი მიმართულებაა მოხალისეების მობილიზება და მათთან მუშაობაზე გათვლილი პროგრამების შექმნა და ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის. ტრენინგებს რაც შეეხება: პირველადი დახმარების ტრენინგი. კატასტროფების მართვის ტრენინგი, პროექტების წერა. პირადად მე სკოლიდან ამ თემებზე არანაირი ცოდნა არ მიმიღია, და ჩემი ერთ ერთი ინტერესი არის სკოლის მოსწავლეებისათვის ამ ტრენინგ-კურსების შეთავაზება, რასაც ვცდილობთ უზრუნველყოთ წელიწადში რამოდენიმე ტრენინგის ჩატარებით.“ გარდა ამისა, დუშეთის მუნიციპალიტეტში ჩატარებული ფოკუსჯგუფის ერთი წარმომადგენელი თბილისში არსებული ორგანიზაციის, რეგიონული პარტნიორი იყო, რომელიც აღნიშნავს, რომ თემის მიმართ არსებულმა ინტერესმა და ასევე, საკითხის კარგად ცოდნამ გადაწყვეტინა ამ მიმართულებით დაეწყო მუშაობა, ის ასევე დაინტერესებული იყო ადგილობრივი თემის განვითარებით, რადგან თავად იყო ადგილობრივი. „ვხედავდი რამდენ კარგ აქციას ატარებდნენ მოსახლეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის ხელშესაწყობად, ეს იყო ექოსკოპია, ჩიყვის გამოკვლევა, სხვათაშორის იყო დიაბეტით დაავადებული ადამიანების გამოკვლევა და მათი მედიკამენტებით უზრუნველყოფა. ამან გადამაწყვეტინა რომ დამეწყო ურთიერთობა ორგანიზაციასთან“

• მოლოდინების შეფასება

მოლოდინების შეფასების ნაწილს რაც შეეხება, მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ყველა ორგანიზაცია მეტ-ნაკლებად დადებითად აფასებს მათი მოლოდინების რეალობაში განხორციელების საკითხს. „ბევრი რამე შევძელით, ბევრი ვერ შევძელით. ზოგჯერ ცოდნა არ გვყოფ, ზოგჯერ მონდომება, ზოგჯერ ფინანსური რესურსი, ზოგჯერ ადამიანური რესურსი.“

საზოგადოებრივ ორგანიზაციებში დასაქმებული ადამიანები დადებითად აფასებენ მათ მოლოდინებს. „ამდენი მოლოდინი არ მექონდა, მოლოდინს გადააჭარბა ჩემმა მუშაობამ ამ ორგანიზაციაში.“ „ვფიქრობთ, რომ იმ მიმართულებით აქტიურად ვმუშაობთ, რომელიც საჭიროა მუნიციპალურ დონეზე განვითარებისათვის“.

4.4. თიანეთის მუნიციპალიტეტი

• ორგანიზაციის დაფუძნების მოტივაცია

თიანეთის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ ფოკუსჯგუფს ესწრებოდა ერთი ორგანიზაცია (ფიზიკურად არ არსებობს მუნიციპალიტეტის მასშტაბით სხვა სათემო ან საზოგადოებრივი ორგანიზაცია). აღნიშნული ორგანიზაციის შექმნის მოტივაცია იყო თემში

არსებული სიტუაციის შეცვლა და საგრანტო კონკურსში მონაწილეობის შესაძლებლობის მიღება. „ორგანიზაცია არის იურიდიული ფორმა, ვერ აუვლიდით გვერდს და მაგიტომ შევქმენით თორემ უბრალოდ იდეის გარშემო გავერთიანდით, მაშინ ვიყავი მეორე კურსის სტუდენტი და ნუ ჯერ კიდევ რაღაც ისეთი კავშირი მქონდა ჩემს რაიონთან, რომ კიდევ აქ მედო პულსზე ხელი, რომ რა ხდება, სულ მაინტერესებდა და გამოჩნდა ესეთი საგრანტო კონკურსი, ბავშვთა და ახალგაზრდობის ფონდს ჰქონდა მაშინ, მათ ჰქონდათ მაშინ მცირე გრანტების კონკურსი და იქ რომ განაცხადი შეგეტანა, უნდა ყოფილიყავი ორგანიზაცია და ჩვენ ხუთმა ბავშვმა, მეგობრებმა დავაარსეთ ორგანიზაცია“.

იქიდან გამომდინარე, რომ თიანეთის მუნიციპალიტეტის ფოკუსჯგუფში იყო 4 წარმომადგენელი საჯარო სექტორიდან, ვერძოდ სკოლა და ადგილობრივი თვითმმართველობა, ფოკუსჯგუფის ინტერვიუებმა დასვა შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ მათი აზრით, რატომ იქმნებიან საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რა არის მათი შექმნის მოტივაცია და რას უნდა აკეთებდნენ. მიღებული პასუხების ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა, რომ მათი უმრავლესობის აზრით სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მოტივით იქმნებიან საზოგადოებრივი ორგანიზაციები და დადებითად უყურებენ მათ შექმნას. „ვფიქრობ, რომ აი ეს არის ადამიანების, ჩვენი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისათვის, ჩემი აზრი ასეთია. დარგობრივად რა თქმა უნდა სხვადასხვა მიმართულებით ცნობიერების ამაღლება და მე პირადად მივსვალმები.“ „მე ძალიან დადებითად უყურებ სამოქალაქო ორგანიზაციების შექმნას და ძალიან მნიშვნელოვანია ხალხის, მოქალაქეების ცნობიერების ამაღლებისთვის, ზოგადად დემოკრატიის განვითარებისთვის.“

• მოლოდინების შეფასება

თიანეთის მუნიციპალიტეტის ფოკუსჯგუფის ორგანიზაციის შემთხვევაში ის მოლოდინები საერთოდ არ გამართლდა, რაც ორგანიზაციას შექმნის დროს ჰქონდა. რეალურად, ორგანიზაციის შექმნის ერთ-ერთი მთავარი მოტივაცია იყო საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღება, ორგანიზაციამ შეძლო გრანტის მიღება, თუმცა უკან დააბრუნა და შესაბამისად ის მიზნები და მოლოდინებიც ვერ გამართლდა, რაც ორგანიზაციის შექმნისას ჰქონდათ. „მერე მოხდა გაუგებრობა, არ დაგვიდგინენ გვერდით, არ იყო ფართი და ასე დავრჩით ჰაერში გრანტით ხელში, და ნუ მერე გავიარე კონსულტაცია იურისტებთან, და გადავწყვიტეთ, რომ პროექტის შეუსრულებლობას, გრანტი დამებრუნებინა უკან და ვალდებულება არ ამელო მედმეტად ჯობდა.“

საჯარო სექტორის წარმომადგენელი მონაწილეები დადებითად აფასებენ არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის გამოცდილებას. „ვიცნობთ რამდენიმე ორგანიზაციას, რომელიც ამოდის ჩვენთან და მის მუშაობას რომ ვიცნობ, მასთან მოვხვდით ასე ვთქვათ არასამთავრობოებთან და რავიცი, კარგის მეტი არაფრის თქმა არ შეგვიძლია, ბავშვები ისეთი კმაყოფილები იყვნენ, ისეთი აქტიურები იყვნენ იმ მომენტში განსაკუთრებით, როცა მათთან მუშაობდნენ. ჩვენს მოლოდინებს, ყოველთვის ამართლებენ“.

4.5. ყაზბეგის მუნიციპალიტეტი

- **ორგანიზაციის დაფუძნების მოტივაცია**

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ფოკუსჯგუფი ჩატარდა ონლაინ (იქიდან გამომდინარე, რომ დაეთხვა პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების პერიოდს) და მასში მონაწილეობდა ორი ორგანიზაცია. ერთი ორგანიზაციის შექმნის მოტივაცია იყო პირადი ცოდნისა და ექსპერტიზის გაზიარება ადგილობრივი თემისთვის და ასევე სამოქალაქო ჩართულობისა და აქტიურობის განვითარება რეგიონში „*მე ვთქვამთ ლექტორი ვარ თსუ-ში, ჩემი კოლეგა ტრენერი და გვინდოდა, რომ ადგილობრივი ახალგაზრდებისათვის გაგვეზიარებინა ეს ჩვენი ცოდნა, გამოცდილება. და ამისთვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება იყო არასამთავრობო ორგანიზაციის დაფუძნება, ანუ ესე ხომ არ ჩავიდოდით, რომ აი ესა და ეს მოვედით და მოდი ტრენინგს ჩაგიტარებთ, აქედან გამომდინარე დავაფუძნეთ არასამთავრობო ორგანიზაცია.*“ რაც შეეხება მეორე ორგანიზაციას, იგი დაფუძნდა ერთ-ერთი მსხვილი პროექტის ფარგლებში, როგორც ადგილობრივი პარტნიორი ორგანიზაცია. „*2015 წლიდან არის შექმნილი, ეს არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის შექმნა მოითხოვა ერთ-ერთი პროექტის განხორციელებამ, საპილოტე რაიონად იქნა შერჩეული ყაზბეგის მუნიციპალიტეტი და ერთ-ერთი ეტაპი აი ამ პროგრამის განხორციელებისა იყო ადგილობრივი ჯგუფის შექმნა...*“

- **მოლოდინების შეფასება**

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ფოკუსჯგუფის შედეგების ანალიზი გვაჩვენებს, რომ ორივე ორგანიზაცია დადებითად აფასებს იმ მოლოდინების რეალობაში განხორციელებას, რაც ორგანიზაციის დაფუძნების დროს ჰქონდათ.

5. მიმდინარე პროექტები და დონორი ორგანიზაციები მცხეთა-მთიანეთში

აღნიშნულ ბლოკში ძირითადი ყურადღება დაეთმო მცხეთა-მთიანეთში არსებული სურათის გამოკვეთას მიმდინარე პროექტების ჭრილში. ფოკუსჯგუფებით მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების უმეტეს ნაწილს არ აქვთ მიმდინარე პროექტები. ფოკუსჯგუფის ჩატარების დროის შესაბამისად, კვლევაში მონაწილეთა 40% აქვს მიმდინარე პროექტი (აქ შედის რეგიონული ფილიალებიც, სულ 2 ასეთი ორგანიზაცია), ხოლო 60% ფოკუსჯგუფის ჩატარების დროისთვის არ ჰქონდა მიმდინარე პროექტი.

იმ ორგანიზაციებიდან, რომლებსაც აქვთ მიმდინარე პროექტი, საერთაშორისო დონორი ყავს 70%-ს (შედის რეგიონული ფილიალებიც), ხოლო 30%-ს აქვს ქართული საგრანტო კონკურსით მიღებული დაფინანსება.

წარსულში განხორციელებული პროექტების მიხედვით, კვლევაში მონაწილე ორგანიზაციებს აქვთ როგორც ქართულ, ასევე უცხოურ დონორებთან მუშაობის გამოცდილება. თუმცა, აღნიშნავენ, რომ ძირითადად ქართული ფონდების მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში იღებდნენ მონაწილეობას.

6. ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან და ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობის გამოცდილება მცხეთა-მთიანეთში

• ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობის გამოცდილება

ხუთივე მუნიციპალიტეტში ჩატარებული ფოკუსჯგუფის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით ორგანიზაციათა სრულ უმრავლესობას აქვს ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობის გამოცდილება. თანამშრომლობის ფორმა უმეტეს შემთხვევაში იყო სივრცის დათმობა ან ტრანსპორტირებით მომსახურების გაწევა. „ფინანსური დახმარებაზე არავინ არ მოდის, ტრანსპორტით კი გვეხმარებიან, მაგრამ სხვა რესურსით, რასაც მინიმალური ფინანსები სჭირდებოდა, მაინც არ მოდიან. მაგრამ, ალბათ აქაც ნდობის საკითხია, გვეუბნებოდნენ, რომ რაც გჭირდებათ, დაგვინერეთ და ჩვენ შევისყიდით.“ „ბიუჯეტი არ აქვთ საკმარისი, რომ გრანტები გასცენ, თუმცა მაინც აფინანსებენ ტრანსპორტირების ხარჯებს, სივრცეს უთმობენ. მაგრამ, ესეც არაორგანიზებულია ჩემი აზრით, და ვფიქრობ რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს რაღაცა გარანტია არა აქვთ. რომ ის ამას გააკეთებს. აი მაგალითად, ბიუჯეტით განერილი არ არის რომ მე არასამთავრობოებს ამაში დაგვეხმარები და ესეც პირად ნაცნობობაზე და თხოვნაზე გადადის.“

ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მხრიდან ფინანსური კონტრიბუციის მაგალითს ვვლევაში მონაწილე მხოლოდ ერთი ორგანიზაცია იხსენებს, რომელმაც პირადი ნაცნობობის წყალობით შეძლო ადგილობრივი ხელისუფლებისგან პროექტისთვის ფინანსების მოძიება. თუმცა, აღნიშნული რესპონდენტი მიიჩნევს, რომ საჯარო სამსახურები სისტემურად არ არიან მზად გასცენ გრანტი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის. „ნუ საჯარო სამსახურებმა რომ გრანტები დაგვემონ და მაგ მიმართულებით წავიდნენ, უნდა გამოაცხადონ კონკურსები, უნდა მიიღონ განაცხადები და ადამიანური რესურსიც არა აქვთ მაგათ, ანუ ვერ გააკეთებენ. ამ ყველაფერს შესაბამისი კადრები არ ჰყავთ.“

• ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობის გამოცდილება

ხუთ მუნიციპალიტეტში ჩატარებული ფოკუსჯგუფის ანალიზმა გვაჩვენა, რომ ვვლევაში მონაწილე ორგანიზაციათა უმეტესობას არ აქვთ ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობის გამოცდილება. ვვლევაში მონაწილე ორგანიზაციებიდან სამმა მათგანმა აღნიშნა, რომ აქვს ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობის გამოცდილება და ბიზნეს სექტორი პროდუქციით დახმარებია პროექტის განხორციელების დროს. ერთი ორგანიზაციის წარმომადგენელი კი იხსენებს შემთხვევას, როდესაც ბიზნეს სექტორი ფინანსურად დაეხმარა პირადი ნაცნობობის წყალობით. „რეალურად პირადი ნაცნობობის გარეშეც შესაძლებელია, რომ ბიზნესი პროდუქციით დაგვეხმაროთ, ნუ მე პირად მაქვს გამოცდილება როდესაც ფინანსურ მხარდაჭერაზეც წამოვიდა ბიზნესი, თუმცა ეს არის პირადი ნაცნობობის გამო, რეალურად ბიზნესი გასცემს ბევრ ფულს, თუმცა არ აქვთ ერთგვარი სისტემა, ვის აფინანსებენ, რატომ აფინანსებენ, ორგანიზებული ფორმა.“

7. ორგანიზაციის წინაშე არსებული პრობლემები და გამოწვევები მცხეთა-მთიანეთში

აღნიშნულ ბლოკში გაანალიზდა მიღებული ინფორმაცია ორგანიზაციების წინაშე არსებული პრობლემებისა და გამოწვევების შესახებ. ფოკუსჯგუფების დროს მონაწილეებმა განიხილეს ის პრობლემები და გამოწვევები, რომლებსაც აწყდებიან საქმიანობის პროცესში და თვლიან, რომ ხელს უშლის ორგანიზაციის ეფექტურ ფუნქციონირებას. მიღებული ინფორმაცია გაანალიზდა და დაჯგუფდა, როგორც მუნიციპალიტეტების მიხედვით, ასევე რეგიონულ ჭრილში.

მცხეთა-მთიანეთის სათემო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების უმეტესობა ქვემოთ წარმოდგენილი პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე დგას, რომელიც რამოდენიმე მსხვილ ფაქტორშია გაერთიანებული.

შიდა ორგანიზაციული პრობლემები და გამოწვევები მცხეთა-მთიანეთში

- ფინანსებისა და კადრების არასტაბილურობა;
- ორგანიზაციის მართვისა და პროექტების წერის კომპეტენციების ნაკლებობა;
- მუშაობის/პროექტის შედეგების შეფასების მექანიზმის არ არსებობა;
- არასაკმარისი დროის დათმობა ორგანიზაციული საქმიანობისათვის;
- ფორმალური სივრცის (ოფისის) არ არსებობა ორგანიზაციის ფუნქციონირებისთვის;
- დაფინანსების წყაროების მოძიებაზე არააქტიური მუშაობა;
- საგრანტო კონკურსებში პასიური მონაწილეობა;
- ადამიანური რესურსის ნაკლებობა;
- მუნიციპალიტეტში არსებული ორგანიზაციების პასიურობა დონორის მოძიების და დაფინანსების მოპოვების მიმართულებით;

ადგილობრივ ხელისუფლებასთან და ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობის პრობლემები და გამოწვევები მცხეთა-მთიანეთში

- ადგილობრივ ხელისუფლებასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის არაეფექტური თანამშრომლობა;
- თანადაფინანსების პრობლემა ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან და ბიზნეს სექტორიდან;
- სამოქალაქო საზოგადოებას, ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის ერთიანი სტრატეგიის, ხედვის არ არსებობა;

დონორებთან თანამშრომლობის მიმართულებით პრობლემები და გამოწვევები მცხეთა-მთიანეთში

- დონორების დაბალი ინტერესი მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მიმართ
- დონორების მხრიდან პრიორიტეტების არასწორი განსაზღვრა მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მიმართ;

ადგილობრივი თემის ჩართულობის მიმართულებით პრობლემები და გამონვევები მცხეთა-მთიანეთში

- საზოგადოების პასიური სამოქალაქო ჩართულობა და დაბალი მოხალისეობრივი კულტურა
- სტერეოტიპული დამოკიდებულება და ნდობის ნაკლებობა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ

სხვა სახის პრობლემები და გამონვევები მცხეთა-მთიანეთში

- თიანეთის მუნიციპალიტეტში მოქმედი სათემო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფაქტობრივად არ არსებობა;
- ტრენინგ სივრცის არ არსებობა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში;

7.1. ახალგორის მუნიციპალიტეტი – პრობლემები და გამონვევები

ახალგორის მუნიციპალიტეტში ჩატარებული ფოკუსჯგუფის დროს მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი პრობლემები და გამონვევები:

ფინანსებისა და კადრების არასტაბილურობა - სხვადასხვა მიზეზებიდან გამომდინარე ორგანიზაციები ვერ ახერხებენ გრანტების მოპოვებას სისტემატურად, რაც იწვევს ერთი მხრივ ორგანიზაციის ფუნქციონირების გაჩერებას, ხოლო მეორე მხრივ კადრების დაკარგვას. *„ფინანსური წყვეტა ძალიან დიდ ჩავარდნას იძლევა და ორგანიზაცია ვერ ვითარდება. სტაბილურობა არ გვაქვს არც ადამიანურ და არც ფინანსურ რესურსებში. როცა პროექტი მთავრდება, ეგრევე კარგავ შენს თანამშრომლებს, რესურსს კარგავ, იმიტომ რომ მათ ოჯახები აქვთ და სჭირდებათ შემოსავალი“.*

საზოგადოების პასიური სამოქალაქო ჩართულობა და დაბალი მოხალისეობრივი კულტურა - ფოკუსჯგუფის მონაწილე ორგანიზაციებმა აღნიშნეს, რომ საქმიანობის პროცესში გამოვლენილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა, საზოგადოების პასიური ჩართულობაა. საზოგადოების წევრები, ხშირ შემთხვევაში ინტერესს და მოტივაციას არ იჩენენ მონაწილეობა მიიღონ სათემო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ ინიცირებულ ღონისძიებაში. გარდა ამისა, თემის წევრებში არ არის მოხალისეობრივი კულტურა განვითარებული, რაც ხელს უწყობს მათ დაბალ ჩართულობას სამოქალაქო ცხოვრებაში. *„ხოვ შეიძლება მათი სოფლისთვის, თემისთვის, რაღაცნაირად, ფინანსურად თუ არა ფიზიკურად დაიხარჯონ - არა. თუ გადაუხდის იმუშავენ, თუ არ გადაუხდის არა, საერთო საქმის შეგრძნება ძალიან დაბალ დონეზეა.“*

ადგილობრივ ხელისუფლებასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის არა-ეფექტური თანამშრომლობა - ფოკუსჯგუფის დროს გამოიკვეთა, რომ არ არის ეფექტური თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებას და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის, რაც პრობლემურ სიტუაციას ქმნის დონორებთან ურთიერთობის საკითხშიც და ასევე, ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პროექტები არის მოკლევადიანი. *„სამწუხაროდ ჩვენთან არც ხელისუფლებას აქვს ფინანსური საშუალება, რომ მხარ-*

დაჭერა გავიწიოს და არც ადამიანები არ მზად, რომ თვითონ, მათი სახსრებით გააგრძელონ მაგალითად ის საქმიანობა, რაც პროექტის ფარგლებში დაიწყო...“ კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობა ძირითადად საკონფერენციო სივრცის დათმობით ან ტრანსპორტირებაში დახმარებით შემოიფარგლება მხოლოდ.

ორგანიზაციის მართვისა და პროექტების წერის კომპეტენციების ნაკლებობა - როგორც ფოკუსჯგუფზე მიღებული ინფორმაციის ანალიზმა აჩვენა, პრობლემას წარმოადგენს ორგანიზაციის სტრატეგიული დაგეგმარების, მისი განვითარებისა და მართვის მცირე გამოცდილება და შესაბამისი კომპეტენციების ნაკლებობა, ასევე გამოიკვეთა პრობლემები სრულყოფილი საპროექტო განაცხადის მომზადებასთან დაკავშირებით და პროფესიული კონტაქტების სიმცირე. *„ჩვენი პრობლემა, ეს არის გამოცდილება, როგორ უნდა მართო ორგანიზაცია, ანუ თუნდაც პროექტების წერის გამოცდილება სათანადო არ გვქონდა და ასევე შესაბამისი კონტაქტების არ ყოფილა, ვინც შეიძლება თუნდაც ამ საკითხებში დაგეხმარნონ.“* გარდა ამისა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ორგანიზაციულ სისუსტედ განიხილავენ პროექტის დასრულების შემდეგ მისი შედეგების შეფასების პრაქტიკის არ ქონას. *„ერთ-ერთ ნაკლად შეიძლება დავასახელოთ, რომ ისეთი ხარისხის შეფასება არ გავიკეთებია პროექტის დასრულების შემდგომ, რომელიც კარგად დაგვანახებდა სად გვაქვს პრობლემა და რა მიმართულებით უნდა გავაგრძელოთ მუშაობა.“* ფოკუსჯგუფის შედეგებმა გამოკვეთა კიდევ ერთი პრობლემა, რომლებიც ორგანიზაციებს აქვთ - პასიურობა დონორების მოძიებასთან დაკავშირებით, აქტიურად არ იღებენ მონაწილეობას საგრანტო კონკურსებში.

სტერეოტიპული დამოკიდებულება და ნდობის ნაკლებობა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ - ახალგორის მუნიციპალიტეტში ჩატარებული ფოკუსჯგუფის მონაწილეები ორგანიზაციის საქმიანობის ერთ-ერთ გამოწვევად ასახლებენ საზოგადოების მხრიდან ნდობის ნაკლებობასა და გავრცელებულ სტერეოტიპებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ.

7.2. მცხეთის მუნიციპალიტეტი - პრობლემები და გამოწვევები

მცხეთის მუნიციპალიტეტში ჩატარებული ფოკუსჯგუფის დროს მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი პრობლემები და გამოწვევები:

საზოგადოების სამოქალაქო ჩართულობისა და მოხალისეობრივი კულტურის დაბალი მაჩვენებელი - *„ძირითადი პრობლემა არის ადამიანური რესურსი „მე მაგალითად ამას ვაწყდები ძალიან ხშირად, იქიდან გამომდინარე, რომ აქტიური არ არის სამოქალაქო საზოგადოება, უნდათ, რომ ჩაერთონ პროექტში, რომლიდანაც იღებენ სარგებელს და მოხალისეობრივი კულტურა ძალიან დაბალია.“*

დონორების დაბალი ინტერესი და პრიორიტეტების არასწორი განსაზღვრა მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მიმართ - ფოკუსჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ დონორების მხრიდან ან დაინტერესების დაბალი დონეა მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მიმართ ან პრიორიტეტების არასწორი განსაზღვრა ხდება. თბილისთან სიახლოვის გამო გარე ორგანიზაციები ახორციელებენ პროექტებს და ადგილობრივი ინიციატი-

ვების მხარდაჭერა ნაკლებად ხდება. „პრობლემა არის ეს, დონორების დაინტერესება არის ნაკლები მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მიმართ. ვიდევ ერთი პრობლემა არის ის რომ, ადგილობრივ ორგანიზაციიდან წამოსული ინიციატივები არ ფინანსდება, არიან შემოსული ორგანიზაციები, მაგრამ არ არის შედეგიანი იმიტომ, რომ პრობლემა ადგილობრივებმა უკეთ ვიცით, ვიდრე გარედან მოსულმა. თბილისთან სიახლოვე არანაირ ვაჰშირში არ უნდა იყოს იმასთან, პროექტებს ადგილობრივი ორგანიზაციები განახორციელებენ თუ არა.“

ტრენინგ სივრცის არ არსებობა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში - „ძალიან დიდი პრობლემა გვაქვს ფართთან დაკავშირებით, მე თუ მკითხავთ, ეს არის კატასტროფა, რომ გინდა შეხვედრის, ტრენინგის ჩატარება და სატრენინგე სივრცე არ არსებობს მთლიანად მუნიციპალიტეტში და არც რეგიონში. საკონფერენციო დარბაზს არ ვამბობ გამწვანებულები რომ ვსხედვართ ხოლმე.“ ფოკუსჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მცხეთა-მთიანეთში სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი არ არსებობა მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგეს.

სამოქალაქო საზოგადოებას, ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის ერთიანი სტრატეგიის, ხედვის არ არსებობა - „აბსოლუტურად სხვადასხვა მიმართულება და ხედვა გვაქვს, სამოქალაქო საზოგადოებას, მოქალაქეებს და ადგილობრივ ხელისუფლებას, ერთიანი სტრატეგია არ გვაქვს, რომლის მიხედვითაც ვიხელმძღვანელებთ“ „პრობლემა იცით რა არის, როდესაც სტრატეგიული გეგმა იწერება, იქ უნდა იყოს არასამთავრობო სექტორიც, სამოქალაქო სექტორიც, ადგილობრივი ხელისუფლებაც და მოსახლეობაც, რათა მოხდეს ამ გეგმის ერთობლივად დაწერა, რაც არ ხდება.“ „ნუ ხშირად ვწუწუნებთ რომ აი არ არის ფული, ამ დროს იმდენი ფულია დასახარჯი, სად წაიღონ არ იციან. უბრალოდ რეგიონიდან არიან ძალიან მჭიდრო თანადგომა საჭირო ხელისუფლებასა და არასამთავრობოს შორის, ამ შემთხვევაში თანხის პრობლემა არ არის, თუმცა ჩვენ მსგავსი მხარდაჭერა არ გვაქვს“. ფოკუსჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება, ხშირ შემთხვევაში ოპონენტად ან ოპოზიციად აღიქვამს არასამთავრობო სექტორს.

თანადაფინანსების პრობლემა ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან და ბიზნეს სექტორიდან - „ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა კი არის გარკვეული ფორმის, მაგრამ ის რასაც თანადაფინანსებას ვეძახით, პრაქტიკულად არ არის, არადა, პროექტები რომ დაფინანსების მოთხოვნა არის, რომ ადგილობრივი ხელისუფლებიდან თანადაფინანსება იყოს. ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობაც არის რთული და პრობლემური.“

7.3. დუშეთის მუნიციპალიტეტი – პრობლემები და გამომწვევები

დუშეთის მუნიციპალიტეტში ჩატარებული ფოკუსჯგუფის დროს მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი პრობლემები და გამომწვევები:

ადგილობრივ ხელისუფლებასთან არაეფექტური თანამშრომლობა - დუშეთის მუნიციპალიტეტში ჩატარებული ფოკუსჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ადგილობრივ თვითმმართველობასთან არაეფექტური თანამშრომლობა აქვთ. ერთი მხრივ

უშუალოდ ორგანიზაციები არ იჩენენ ინიციატივებს, ფოკუსჯგუფის ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს „არაფერს არ ვაკეთებ - ვაკრიტიკებ“, ხოლო მეორე მხრივ, აღნიშნავენ, რომ მათსა და ხელისუფლებას შორის თანამშრომლობა ვერ დგება „საბოლოო ჯამში ხელისუფლებას მაინც ვაკითხავთ. გინდა არ გინდა გადანყვეტილების მიმღები პირები ისინი არიან სხვა გარე სტრუქტურებთან თუ უცხოელებთან ურთიერთობაში. ბუსტადაც, რომ გადანყვეტილებას მაინც ხელისუფლება იღებს. მაინც იმას ენდობიან. იმან უნდა სთქვას თანხმობა. და აი ამ პროცესში ჩვენ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ ხელისუფლებასთან ვერ მივაღწიეთ ურთიერთ თანამშრომლობასა და გაგებას. პარტნიორულ დონეზე, რომ განვიხილოთ“ თუმცა, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ფოკუსჯგუფიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, ადგილობრივი მუნიციპალიტეტი ტრანსპორტირების გზით მხარს უჭერს ინიციატივებს.

მუნიციპალიტეტში არსებული ორგანიზაციების პასიურობა დონორის მოძიების და დაფინანსების მოპოვების მიმართულებით - „კარგად არ მესმის, მაგრამ რატომ არის რომ ჩვენ ძალიან დიდი ძალისხმევა გვჭირდება იმისათვის, რომ გრანტებზე გავიდეთ, დონორებზე გავიდეთ, და ყოველთვის ვართ ისე რომ მსხვილი მოთამაშეების თამაშს ვთამაშობთ. - აი ეს არის ჩემთვის ძალიან გაუგებარი.“

7.4. თიანეთის მუნიციპალიტეტი - პრობლემები და გამოწვევები

იქიდან გამომდინარე რომ თიანეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია ერთი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, აღნიშნულ მუნიციპალიტეტში ჩატარებულ ფოკუსჯგუფს ესწრებოდა მხოლოდ ერთი ორგანიზაციის წარმომადგენელი, შესაბამისად მოცემულ ბლოკში წარმოდგენილი პრობლემები და გამოწვევები ემყარება ერთი ადამიანის მოსაზრებებს.

ადგილობრივი თანამოაზრის, კონკურენტის, კომპეტენტური ორგანიზაციის არ არსებობა - „სამოქალაქო ორგანიზაცია არ იყო თიანეთში, რომ რამე რჩევა კითხო, აბა როგორ რა გავაკეთო. და რეალურად ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით არავინ არაფერი არ იცოდა და რჩევა რომ მჭირდებოდა ვერავინ მეხმარებოდა.“

ადგილობრივი ხელისუფლებისა და საზოგადოების დაბალი ჩართულობა - ფოკუსჯგუფის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ სამოქალაქო ორგანიზაციების მიმართ საზოგადოების მიმღებლობა დაბალია, მათ აქვთ სტერეოტიპული დამოკიდებულებები. „როდესაც ჩამოვყალიბდი, წავანყდი იმ პრობლემას, რომ ადგილობრივებს ნდობა არ აქვთ, არც მოტივაცია და ხალისი, რომ მოქალაქეები ან ადგილობრივი ხელისუფლება გვერდით დაგიდგეს, მიდიხარ ანთებული თვალებით და მაგარი იდეით, და იმდენ პრობლემას გიქმნიან, აღარ გინდა.“ „აი, პრობლემა რაშია იცით, ბიუჯეტი ახალგაზრდულ სამსახურს აქვს მთლიანად განერილი წინასწარ. ანუ იმ სამსახურს, რომელიც ძირითადად ისეთ პროექტებზე უნდა მუშაობდეს, რომლითაც ვთქვათ არასამთავრობოებიც დაინტერესდებიან. მე რომ გამიჩნდეს იდეა, ვთქვათ 500 ლარია საჭირო, ფიზიკურად ვერ მოგცემენ. არაა ფული, უნდა გადაიტანონ. განერილი გეგმის მიხედვით მუშაობენ.“

საზოგადოების დაბალი მოტივაცია, ენთუზიაზმი და ადგილობრივი ინიციატივების არ არსებობა - მაღალია მუნიციპალიტეტიდან დედაქალაქში მიგრაციის მაჩვენებელი. „კიდევ ერთი პრობლემაა ის, რომ ადგილობრივებს „უტყდებათ“ რომ დარჩნენ თემში და აქ გააკეთონ რაიმე.“ „კიდევ ერთი პრობლემა არის ის რომ ინოვაცია არ გვიყვარს. ახალი რაღაცების მიმართ მიმღებლები არ ვართ და ხშირად ეს მოგზავნილია, ის ის არის და ამას ვამბობთ. ეჭვის თვალით ვუყურებთ ხოლმე“

პასიურობა დაფინანსების წყაროების მოძიების მიმართულებით - „იმედგაცრუების მერე, აღარ მქონდა დაინტერესება და სწავლაზე გადავერთე. და უფრო მეტად, ჩემს პროფესიას მივხედე. მერე დონორი ორგანიზაციებიც, რომლის შესახებაც მე ვიცოდი აღარ იყვნენ და ახალი დონორების ძებნაც არ დამინცია. და მერე ჩემს პროფესიას უფრო მივხედე, მერე მუშაობა დავინწყე და ცოტა ძნელია კომფორტის ზონაში რომ ხარ, მიატოვო სამსახური და ორგანიზაციის შენება დაიწყო თავიდან და თან არ ხარ დარწმუნებული რომ შემოსავალი გექნება. რეალურად მოტივაცია და ენთუზიაზმი არ მქონდა.“

7.5. ყაზბეგის მუნიციპალიტეტი – პრობლემები და გამონწვევები

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ჩატარებული ონლაინ ფოკუს-ჯგუფის დროს მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი პრობლემები და გამონწვევები:

ადამიანური რესურსის ნაკლებობა - ფოკუს-ჯგუფზე მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ პრობლემა ერთი მხრივ სამუშაო კადრის მოძიების მხრივ და მეორე მხრივ მოხალისეების მობილიზების კუთხით, ადამიანების სამოქალაქო აქტივობაში ჩართულობის მაჩვენებელი დაბალია. „ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა ეს არის ზუსტად, რომ რესურსი არ გვაქვს ადამიანური რესურსი იმისა, რომ მოვიცვათ ყველა ის სფერო და მიმართულება რაც გვინდა. „ხშირად გვიჭირს ადამიანური რესურსის მოძიება, კოორდინატორი, ტექნიკური კადრი, იმიტომ, რომ ყველას აქვს თავისი საქმე“ „ძალიან რთულია ადამიანი მონყვიტო მის მცირე ბიზნესს ან სამსახურს და სთხოვო რომ მოხალისეობრივად დაგითმონ დრო.“

არასაკმარისი დროის დათმობა ორგანიზაციისთვის - „ცოტანი ვართ და ალბათ ვინც ვართ სხვა საქმიეებიც ძალიან ბევრი გვაქვს და აქედან გამომდინარე, ფიზიკურად იმდენ დროს ალბათ ვერ ვუთმობთ ჩვენს ორგანიზაციას, რამდენიც საჭირო იქნებოდა.“

ფორმალური სივრცის (ოფისის) არ არსებობა ორგანიზაციის ფუნქციონირებისთვის - „ამ ეტაპზე არ გვაქვს ოფისი, სადაც ვთქვათ რამდენიმე ადამიანი დაჯდება, თუნდაც სიმბოლური ხელფასი ექნებათ და ვთქვათ ფონდების მოძიებაზე იმუშავებს. და ნუ ახლა ასე დისტანციურად გვინწევს მუშაობა, რაც ნაკლებად ეფექტურია.“

8. მცხეთა-მთიანეთის რეგიონში არსებული ორგანიზაციების ძლიერი მხარეების, სუსტი მხარეების, შესაძლებლობების, საფრთხეების ანალიზი და რეკომენდაციები

ფოკუსჯგუფის დროს გამოყენებულ იქნა SWOT ანალიზის მეთოდი რეგიონში არსებული საზოგადოებრივი და სათემო ორგანიზაციების მდგომარეობის შეფასების მიზნით. თითოეულ ფოკუსჯგუფში, ორგანიზაციების წარმომადგენლები დისკუსიის ფორმატში მსჯელობდნენ იმ ძლიერ მხარეებზე, სუსტ მხარეებზე, შესაძლებლობებსა და საფრთხეებზე, რომელიც მათი გამოცდილების მიხედვით კონკრეტულ რეგიონში არსებულ ორგანიზაციას აქვს. მიმდინარე ბლოკში განზოგადებული სახით გაანალიზდა აღნიშნული მეთოდით მიღებული მონაცემები. ძლიერ და სუსტ მხარეებში მოიაზრება უშუალოდ ორგანიზაციის შიდა ფაქტორები, ხოლო შესაძლებლობებსა და საფრთხეებში, ორგანიზაციის გარეთ, გარემოში არსებული ფაქტორები. უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტების მიხედვით არის განსხვავებული შედეგები, თუმცა გამოიკვეთა რამოდენიმე მსგავსი ფაქტორიც.

SWOT ანალიზის გაკეთების შემდგომ ფოკუსჯგუფის წევრებმა მოამზადეს რეკომენდაციები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება გამოიყენოს ადგილობრივმა ორგანიზაციამ არსებული შესაძლებლობები, რომ შეამციროს საფრთხეები და სუსტი მხარეები აქციოს ძლიერ მხარეებად.

8.1. ახალგორის მუნიციპალიტეტი – swot ანალიზი და რეკომენდაციები

იმის გათვალისწინებით, რომ ახალგორის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ ფოკუსჯგუფში წარმოდგენილი იყო მხოლოდ ორი ორგანიზაცია, მოხდა მცირე ჯგუფებად დაყოფა და თითოეული ორგანიზაციის გამოცდილების მიხედვით გაკეთდა ორი swot ანალიზი. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი ორი ორგანიზაცია რადიკალურად განსხვავდება ძლიერი და სუსტი მხარეების მიმართულებით, თუმცა შესაძლებლობები და საფრთხეების ანალიზი ორივე მათგანში მსგავსი იყო. შესაბამისად ქვემო პარაგრაფში ძლიერი და სუსტი მხარეები მოცემულია ორ ნაწილად.

• **Swot ანალიზის შედეგები - ახალგორის მუნიციპალიტეტი**

ფოკუსჯგუფიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა, რომ ახალგორის მუნიციპალიტეტში არსებული ერთ-ერთი ორგანიზაციის ძლიერ მხარეებს წარმოადგენს შემდეგი ფაქტორები: მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მუშაობის გამოცდილება, სამიზნე ჯგუფების (ბენეფიციარების) ცნობა, მიზნებისა და პრობლემის იდენტიფიცირების მექანიზმების არსებობა, მოტივაციისა და მრავალფეროვანი იდეების ქონა, ასევე კონტაქტები სსო-ებთან. ამავე ორგანიზაციის გამოცდილების მიხედვით, მათ სუსტ მხარეებს წარმოადგენს - ფინანსური არასტაბილურობა, მომუშავე

კადრების დაკარგვა, თანამედროვე ტექნოლოგიების ნაკლებად გამოყენება, ოფისის არ ქონა, ტერიტორიული დისტანცია (ორგანიზაციის ხელმძღვანელები ცხოვრობს დედაქალაქში), საქმიანობის პიარი, პროექტების წერისა და ინგლისური ენის ცოდნა.

ფოკუსჯგუფიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა, რომ ახალგორის მუნიციპალიტეტში არსებული მეორე ორგანიზაციის ძლიერ მხარეებს წარმოადგენს შემდეგი ფაქტორები: ფართი, ადამიანური რესურსი, გუნდურად მუშაობის უნარები, პრობლემის იდენტიფიცირების უნარები, კონტაქტები. ამავე ორგანიზაციის გამოცდილების მიხედვით, მათ სუსტ მხარეებს წარმოადგენს - ფინანსური არასტაბილურობა, ორგანიზაციული მართვის გამოცდილების არ ქონა, კვალიფიციური კადრის არ არსებობა, ორგანიზაციისთვის დათმობილი დროის სიმცირე, იდეების ნაკლებობა, ინგლისური ენის სათანადოდ არ ცოდნა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მათ საერთო ძლიერ მხარეებში არის კონტაქტები და პრობლემის იდენტიფიცირების მექანიზმების ცოდნა, ხოლო სუსტ მხარეებში ფინანსური არასტაბილურობა.

შესაძლებლობები, რომელიც არსებობს გარემოში, ახალგორის მუნიციპალიტეტის ფოკუსჯგუფის წევრების მოსაზრებების მიხედვით არის შემდეგი: ფონდების არსებობა (საერთაშორისო და ადგილობრივი), ორგანიზაციული განვითარების პროგრამები, უფასო ტრენინგ-კურსები, სოციალური მენარმეობა, ადგილობრივი ხელისუფლება და ბიზნეს სექტორი, თემის მოხალისეები და ინტერნეტ კავშირი. რაც შეეხება საფრთხეებს, ახალგორის მუნიციპალიტეტის ფოკუსჯგუფის მონაწილეებმა გამოკვეთეს შემდეგი: საზოგადოების მხრიდან უნდობლობა და სტერეოტიპული დამოკიდებულება, ნეპოტიზმი, დონორების გასვლა ქვეყნიდან, ბიზნეს სექტორისა და ხელისუფლების ნაკლები ჩართულობა, ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებული პროექტების ვერ განხორციელება, იმის გამო, რომ დონორის პრიორიტეტი არ არის კონკრეტული მიმართულება. (იხ. დანართი #1 და დანართი #1.1.- SWOT ანალიზი - ახალგორის მუნიციპალიტეტი)

• რეკომენდაციები - ახალგორის მუნიციპალიტეტი

ახალგორის მუნიციპალიტეტის ფოკუსჯგუფის მონაწილეებმა SWOT ანალიზის მიხედვით შეიმუშავეს რეკომენდაციები, რომელიც დაეხმარებათ ორგანიზაციის წინაშე არსებული პრობლემებისა და გამოწვევების შემცირებაში. მიმდინარე ქვეთავში წარმოდგენილი რეკომენდაციები დაყოფილია შემდეგ ძირითად მიმართულებებად: რეკომენდაციები ორგანიზაციის ფინანსური სტაბილურობის შექმნის მიმართულებით, რეკომენდაციები შიდა ორგანიზაციული განვითარების მიმართულებით, რეკომენდაციები სექტორთა შორის თანამშრომლობის გაძლიერების მიმართულებით და რეკომენდაციები მუნიციპალიტეტში/თემში ეფექტური ფუნქციონირების მიმართულებით. თითოეული მიმართულების ქვეშ წარმოდგენილია კონკრეტული რეკომენდაციები, ამოცანები ან/და2 ქმედითი ნაბიჯები, რომელიც შეიმუშავეს ფოკუსჯგუფის წევრებმა.

რეკომენდაციები ორგანიზაციის ფინანსური სტაბილურობის მიმართულებით

- ფონდებთან აქტიური ურთიერთობა, საგრანტო კონკურსების შესახებ ინფორმაციის მოძიება;
- ფინანსური რესურსების მოპოვება და მობილიზება, საგრანტო კონკურსებში აქტიური მონაწილეობის მიღებით;

- სოციალური მენარმეობის მიმართულებით კომპეტენციის ამაღლება, სანარმოს შექმნა და მიღებული შემოსავალით ორგანიზაციის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა.

რეკომენდაციები შიდა ორგანიზაციული განვითარების მიმართულებით

- საპროექტო ინგლისური ენის სწავლა/გაუმჯობესება;
- პროექტების წერის ტრენინგებზე დასწრება;
- თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება (ოფისის არ ქონის შემთხვევაში დისტანციური მუშაობის გაუმჯობესებისთვის- google drive, zoom, skype, canva);
- ორგანიზაციული რისკების შეფასება/ანალიზი და ალტერნატიული გეგმების შემუშავება;
- ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავება;
- ორგანიზაციული განვითარების პროგრამების/ტრენინგების გამოყენება;
- ტრენინგ-კურსებში აქტიური მონაწილეობის მიღება, კომპეტენციების განვითარება-გაუმჯობესება;

რეკომენდაციები სექტორთა შორის თანამშრომლობის გაუმჯობესების მიმართულებით

- კონტაქტებისა და ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება სათემო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან;
- საერთაშორისო მოხალისეობრივ პროექტებში ჩართვა;

რეკომენდაციები მუნიციპალიტეტში/თემში ეფექტური ფუნქციონირების მიმართულებით

- ადგილობრივი საინიციატივო ჯგუფების გააქტიურება;
- საზოგადოებაში ნდობის მოპოვების მიმართულებით მუშაობა, თემის წევრებთან აქტიური კომუნიკაციით და საქმიანობის ეფექტური პიარით;
- თემში არსებული პრობლემების, მოთხოვნების და საჭიროებების სეგმენტიზაცია, ანალიზი, რომელზე დაყრდნობით მომზადდება საპროექტო განაცხადება;

შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ ახალგორის მუნიციპალიტეტის სათემო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები საკუთარი პრობლემებისა და საჭიროებების მოგვარების მიმართულებას ზემოთ წარმოდგენილ რეკომენდაციებში ხედავენ. რეკომენდაციების გათვალისწინებისა და პრაქტიკაში განხორციელების მიმართულებით საჭიროებენ კვალიფიციური ექსპერტების მხარდაჭერას.

8.2. მცხეთის მუნიციპალიტეტი – swot ანალიზი და რეკომენდაციები

მცხეთის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ ფოკუსჯგუფზე წარმოდგენილი იყო 5 საზოგადოებრივი და სათემო ორგანიზაცია. ფოკუსჯგუფის წევრებმა განზოგადებული სახით იმსჯელეს მცხეთის მუნიციპალიტეტში არსებულ სათემო ან საზოგადოებრი-

ვი ორგანიზაციის ძლიერ და სუსტ მხარეებზე, შესაძლებლობებსა და საფრთხეებზე. ფოკუსჯგუფის წევრები მათ გამოცდილებაზე და ორგანიზაციულ საჭიროებებზე დაყრდნობით შეჯერდნენ იმ ძირითად ასპექტებზე, რომელიც კონკრეტულად მცხეთის მუნიციპალიტეტში არსებულ ორგანიზაციას აქვს. მოცემული ანალიზი ეყრდნობა ფოკუსჯგუფზე წარმოდგენილი ორგანიზაციების უმრავლესობის შედეგებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ერთეულ შემთხვევებში სურათი არის განსხვავებული, მაგრამ უმეტესი ორგანიზაციებისთვის ქვემოთ წარმოდგენილი შედეგები საერთოა. (იხ. დანართი #2. SWOT ანალიზი - მცხეთის მუნიციპალიტეტი)

• **SWOT ანალიზის შედეგები - მცხეთის მუნიციპალიტეტი**

ფოკუსჯგუფის შედეგად მიღებული ინფორმაციით განზოგადებული სახით გამოიკვეთა შემდეგი ძლიერი მხარეები, რომელიც მცხეთის მუნიციპალიტეტში არსებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციას აქვს: ორგანიზაციის თანამშრომლების პროფესიონალიზმი, მათი გამოცდილება და მოტივაცია; ორგანიზაციული ზრდისა და განვითარების მოთხოვნილება, რეგიონის საჭიროებების ცოდნა და პრიორიტეტების სწორად განსაზღვრის უნარი; მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; ერთ-ერთ ორგანიზაციას აქვს ოფისი და სატრენინგე სივრცე, თუმცა რაიონული ცენტრისგან მოშორებით და ნაკლებად არის პრაქტიკული გამოყენების მქონე სხვა ორგანიზაციებისთვის, რის გამოც აღნიშნული ფაქტორი განზოგადებული სახით არ იქნა შეყვანილი ძლიერ მხარეებში.

სუსტი მხარეები მცხეთის მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზის მიხედვით: პროექტების წერა - ლოგიკური ჩარჩო, ენის ცოდნა (საპროექტო განაცხადისთვის წერიტი უნარები), დონორების მოძიება, ფინანსური არასტაბილურობა და თანამშრომლების დაკარგვა ფინანსური არასტაბილურობის გამო, ორგანიზაციული განვითარების სტრატეგიის არ არსებობა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ორგანიზაციებს შორის კოორდინაციის არ არსებობა;

მცხეთის მუნიციპალიტეტში ჩატარებული ფოკუსჯგუფის მონაწილეების შეფასებით, მათ რაიონში არსებული ორგანიზაციებისათვის ადგილობრივ დონეზე შემდეგი სახის შესაძლებლობები არსებობს: თემის აქტიური ახალგაზრდები, ქსელური/კოალიციური მუშაობის შესაძლებლობა (ექსპერტული ცოდნის და გამოცდილების გაზიარება, ერთობლივი პროექტები), კერძო და საჯარო სექტორთან თანამშრომლობის შესაძლებლობა, დონორების არსებობა, საერთაშორისო მოხალისეები.

მცხეთის მუნიციპალიტეტის ფოკუსჯგუფის მონაწილეებმა ორგანიზაციების საფრთხეებში მოიაზრეს შემდეგი ფაქტორები: ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მხრიდან გულგრილი დამოკიდებულება სათემო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების იდეების მიმართ, დაბალი მოქალაქეობრივი კულტურა და სამოქალაქო თვითშეგნება, დონორის რჩეული ორგანიზაციების არსებობა (გამუდმებით ერთი და იმავე ორგანიზაციისთვის ფინანსური მხარდაჭერა), საჯარო და ბიზნეს სექტორის მხრიდან ჩაურთველობა.

• **რეკომენდაციები - მცხეთის მუნიციპალიტეტი**

მცხეთის მუნიციპალიტეტის ფოკუსჯგუფის მონაწილეებმა SWOT ანალიზის მიხედვით შეიმუშავეს რეკომენდაციები, რომელიც დაეხმარებათ ორგანიზაციის წინაშე

არსებული პრობლემებისა და გამოწვევების შემცირებაში. მიმდინარე ქვეთავში წარმოდგენილი რეკომენდაციები დაყოფილია შემდეგ ძირითად მიმართულებებად: რეკომენდაციები ორგანიზაციის ფინანსური სტაბილურობის შექმნის მიმართულებით, რეკომენდაციები შიდა ორგანიზაციული განვითარების მიმართულებით, რეკომენდაციები სექტორთა შორის თანამშრომლობის გაძლიერების მიმართულებით და რეკომენდაციები მუნიციპალიტეტში/თემში ეფექტური ფუნქციონირების მიმართულებით. თითოეული მიმართულების ქვეშ წარმოდგენილია კონკრეტული რეკომენდაციები, ამოცანები ან/და ქმედითი ნაბიჯები, რომელიც შეიმუშავებს ფოკუსჯგუფის წევრებმა.

რეკომენდაციები ორგანიზაციის ფინანსური სტაბილურობის შექმნის მიმართულებით

- დონორებთან შეხვედრების ორგანიზება რეგიონული მასშტაბით;
- საგრანტო კონკურსებში აქტიური მონაწილეობის მიღება;
- დონორების შესახებ ბაზის შექმნა და პერიოდული განახლება;
- პროექტის წერის შესახებ ტრენინგების გავლა; (ლოგიკური ჩარჩო, საპროექტო ინგლისური)
- რეგიონისთვის განსხვავებული იმიჯის შექმნა - კოორდინირებული მუშაობა და დონორების დაინტერესება;

რეკომენდაციები შიდა ორგანიზაციული განვითარების მიმართულებით

- დასრულებული პროექტების შეფასების მექანიზმის დანერგვა;
- ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავება;
- ორგანიზაციული მართვის მიმართულებით ტრენინგ-კურსებზე მონაწილეობის მიღება;

რეკომენდაციები სექტორთა შორის თანამშრომლობის გაძლიერების მიმართულებით

- მუნიციპალიტეტში არსებული სათემო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოალიციური მუშაობის ხელშეწყობა, ერთობლივი პროექტების დაგეგმვა-განხორციელება.
- საზოგადოებრივი ორგანიზაციების ქსელური მუშაობა მდგრადი განვითარების მიზნებისათვის;
- ვერძო სექტორთან / ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობის მიმართულებით მუშაობის გააქტიურება;
- მუნიციპალიტეტში შეიქმნას პროექტების მოსამზადებელი ჯგუფი;
- ადგილობრივი ინიციატივების ხელშეწყობა და განვითარება, ექსპერტული ცოდნის გაზიარება და ურთიერთთანამშრომლობა;

რეკომენდაციები მუნიციპალიტეტში/თემში ეფექტური ფუნქციონირების მიმართულებით

- თემის აქტიური და მოტივირებული ახალგაზრდების ჩართვა ორგანიზაციულ საქმიანობებში მოხალისეობრივად ან/და გარკვეული ანაზღაურებით;

- თემის ახალგაზრდების შეკრება კონკრეტული თემის გარშემო, ახალგაზრდული თემატური ბანაკების შექმნა რეგიონის ან/და ქვეყნის მასშტაბით;

შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის სათემო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები საკუთარი პრობლემებისა და საჭიროებების მოგვარების გზას ზემოთ წარმოდგენილ რეკომენდაციებში ხედავენ. რეკომენდაციების გათვალისწინებისა და პრაქტიკაში განხორციელების მიმართულებით საჭიროებენ კვალიფიციური ექსპერტების მხარდაჭერას.

8.3. დუშეთის მუნიციპალიტეტი – swot ანალიზი და რეკომენდაციები

დუშეთის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ ფოკუსჯგუფზე წარმოდგენილი იყო 6 სათემო და საზოგადოებრივი ორგანიზაცია. ფოკუსჯგუფის წევრებმა განზოგადებული სახით იმსჯელეს დუშეთის მუნიციპალიტეტში არსებული სათემო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების ძლიერ და სუსტ მხარეებზე, შესაძლებლობებსა და საფრთხეებზე. ფოკუსჯგუფის წევრები მათ გამოცდილებაზე და ორგანიზაციულ საჭიროებებზე დაყრდნობით შეჯერდნენ იმ ძირითად ძლიერ და სუსტ მხარეებზე, შესაძლებლობებსა და საფრთხეებზე, რომელიც კონკრეტულად დუშეთის მუნიციპალიტეტში არსებულ ორგანიზაციას აქვს. მოცემული ანალიზი ეყრდნობა ფოკუსჯგუფზე წარმოდგენილი ორგანიზაციების უმრავლესობის შედეგებს. უნდა აღინიშნოს რომ ერთეულ შემთხვევებში სურათი შესაძლოა განსხვავებული იყოს, თუმცა ორგანიზაციათა უმეტესი ნაწილისათვის ქვემოთ წარმოდგენილი შედეგები საერთოა. *იხ. დანართი #3. SWOT ანალიზი - დუშეთის მუნიციპალიტეტი.*

• **SWOT ანალიზის შედეგები - დუშეთის მუნიციპალიტეტი**

ფოკუსჯგუფიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, დუშეთის მუნიციპალიტეტში არსებული ორგანიზაციის ძლიერ მხარეებში მონაწილეებმა მოიაზრეს შემდეგი ფაქტორები: კონტაქტების არსებობა, ადგილობრივი კონტექსტის ცოდნა, საზოგადოებასთან ურთიერთობის უნარ-ჩვევების ფლობა, განათლებული, პროფესიონალი ხელმძღვანელები და თანამშრომლები, თემის წევრების ნდობა და ცნობადობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სამუშაო ადგილების შექმნა.

დუშეთის მუნიციპალიტეტში არსებული ორგანიზაციის სუსტ მხარეებად, ფოკუსჯგუფის წევრებმა დაასახელეს შემდეგი: ფინანსური სტაბილურობა, დონორების შესახებ ინფორმირებულობის დაბალი დონე, კვალიფიციური ადამიანების ნაკლებობა თემში, ვენის ბარიერი, მედიის არ არსებობა, დაბალი ინსტიტუციური განვითარება, მოტივაციის არ არსებობა, ტექნიკური გამართულობა.

დუშეთის მუნიციპალიტეტში ჩატარებული ფოკუსჯგუფის მონაწილეების შეფასებით, მათ რაიონში არსებული ორგანიზაციისთვის ადგილობრივ დონეზე შემდეგი სახის შესაძლებლობები არსებობს: თემში არსებული ლიდერები, აქტიური ახალგაზრდები, ორგანიზაციათა შორის რესურსების გაცვლა, დონორების არსებობა - საგრანტო კონკურსები, ადვოკატირების კამპანიების განხორციელება, ტურიზმის განვითარების შესაძლებლობა, ადგილობრივი მუნიციპალიტეტი და ბიზნეს სექტორი.

რაც შეეხება საფრთხეებს ორგანიზაციებისთვის, დუშეთის მუნიციპალიტეტის ფოკუსგუფის მონაწილეებმა გამოკვეთეს შემდეგი: დაბალი სამოქალაქო თვითშეგნება, სახელმწიფოს მხრიდან პასიური ჩართულობა/ჩაურთველობა, დონორების სიმცირე, ნდობის დაკარგვა დონორთან, ვადრების გაღივება/ არასტაბილურობა, მიგრაცია, ხელისუფლების პოლიტიზირება და სახელმწიფოს მხრიდან რეგულაციები, გავრცელებული სტერეოტიპები, იარლიყები, კლიშეები.

• რეკომენდაციები - დუშეთის მუნიციპალიტეტი

დუშეთის მუნიციპალიტეტის ფოკუსგუფის მონაწილეებმა SWOT ანალიზის მიხედვით შეიმუშავეს რეკომენდაციები, რომელიც დაეხმარებათ ორგანიზაციის წინაშე არსებული პრობლემებისა და გამოწვევების შემცირებაში. მიმდინარე ქვეთავში წარმოდგენილი რეკომენდაციები დაყოფილია შემდეგ ძირითად მიმართულებებად: რეკომენდაციები ორგანიზაციის ფინანსური სტაბილურობის შექმნის მიმართულებით, რეკომენდაციები შიდა ორგანიზაციული განვითარების მიმართულებით, რეკომენდაციები სექტორთა შორის თანამშრომლობის გაძლიერების მიმართულებით და რეკომენდაციები მუნიციპალიტეტში/თემში ეფექტური ფუნქციონირების მიმართულებით. თითოეული მიმართულების ქვეშ წარმოდგენილია კონკრეტული რეკომენდაციები, ამოცანები ან/და ქმედითი ნაბიჯები, რომელიც შეიმუშავეს ფოკუსგუფის წევრებმა.

რეკომენდაციები ორგანიზაციის ფინანსური სტაბილურობის მიმართულებით

- საგრანტო კონკურსებში აქტიური მონაწილეობის მიღება;
- ტრენინგი ფონდების მოძიების შესახებ ადგილობრივი სათემო-საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ახალგაზრდებისათვის;
- საქართველოში მოქმედი დონორების შესახებ ინფორმაციის მოგროვება;
- ადგილობრივი პოტენციური დონორებისა და შემომწირველების ბაზის გაკვეთება, მათი გაერთიანება;

რეკომენდაციები შიდა ორგანიზაციული განვითარების მიმართულებით

- ორგანიზაციის მისიის განაცხადის გადახედვა;
- ტრენინგები პროექტის წერის შესახებ ადგილობრივი სათემო-საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის;
- სტაბილური ფონდების არსებობაზე ზრუნვა, ორგანიზაციის მუდმივი აუცილებელი შტატის შენარჩუნების მიზნით (მაგალითად სოციალური საწარმოები)

რეკომენდაციები სექტორთა შორის თანამშრომლობის გაუმჯობესების მიმართულებით

- ორგანიზაციებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესება;
- სკოლებთან და ახალგაზრდებთან უფრო აქტიური კომუნიკაცია;
- ადგილობრივი ბიზნესების რუკის შექმნა. რომლებიც მზად არიან სათემო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან სათანამშრომლოდ;
- ადგილობრივი სსოების გაერთიანება და საერთო პრიორიტეტების განსაზღვრა, სამოქმედო არეალისა და მიმართულებების გაცნობა ერთმანეთისათ-

ვის. იმ მიზნით რომ ნათელი იყოს სად შეუძლიათ დამოუკიდებლად მუშაობა სად იქნება გაერთიანება უფრო ეფექტური შედეგის მომტანი.

რეკომენდაციები მუნიციპალიტეტში/თემში ეფექტური ფუნქციონირების მიმართულებით

- ტრენინგები მედიის საკითხებზე ადგილობრივი მედიის ჩამოყალიბების მიზნით;
- მოხალისეობის პოპულარიზაცია.
- უცხოელი მოხალისეების მიღება, მათი გამოცდილების გაზიარება;
- თემის წევრებში ინიციატივების გაჩენის ხელშეწყობა, სამენარმეო კონკურსებში აქტიურად მონაწილეობის მიღება, ადგილობრივების ჩართვა საგრანტო შესაძლებლობებში, რომელიც დაეხმარებათ ტურიზმის განვითარებასა და ინფრასტრუქტურის შექმნაში.
- ადგილობრივი პრობლემების კვლევა და სწორი რაწირება. განსაზღვრა, იმის თუ სად არის ამ საკითხებში სათემო-საზოგადოებრივი ორგანიზაციების სამოქმედო არეალი, რისი გავტება შეუძლიათ არსებული რესურსებით და რის გავტებას შეუძლიათ დამატებითი რესურსების არსებობის შემთხვევაში და საჭირო რესურსების მინიმალური, საშუალო და ფართო მონახაზი.

შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის სათემო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები საკუთარი პრობლემებისა და საჭიროებების მოგვარების მიმართულებას ზემოთ წარმოდგენილ რეკომენდაციებში ხედავენ. რეკომენდაციების გათვალისწინებისა და პრაქტიკაში განხორციელების მიმართულებით საჭიროებენ კვალიფიციური ექსპერტების მხარდაჭერას.

8.4. თიანეთის მუნიციპალიტეტი – swot ანალიზი და რეკომენდაციები

თიანეთის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ ფოკუსჯგუფს ესწრებოდა ერთი ადგილობრივი ორგანიზაცია, დანარჩენი მონაწილეები წარმოდგენდნენ საჯარო სექტორს - ადგილობრივი თვითმმართველობა, საჯარო სკოლა. თიანეთის მუნიციპალიტეტის ფოკუსჯგუფში, მონაწილეებმა გააკეთეს SOWT ანალიზი, მათი შეხედულებებსა და ერთი ორგანიზაციის გამოცდილების საფუძველზე. მონაწილეებმა წარმოიდგინეს თუ რა ძლიერი და სუსტი მხარეები შეიძლება ჰქონდეს თიანეთის მუნიციპალიტეტში არსებულ სათემო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას, ასევე შეაფასეს ადგილობრივად არსებული საფრთხეები და შესაძლებლობები. (იხ. დანართი #4 SWOT ანალიზი - თიანეთის მუნიციპალიტეტი)

• SWOT ანალიზის შედეგები - თიანეთის მუნიციპალიტეტი

თიანეთის მუნიციპალიტეტის ფოკუსჯგუფში შედგენილი SWOT ანალიზის მიხედვით, მათ რაიონში არსებული სათემო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ძლიერი მხარეები იქნებოდა: კვალიფიციური კადრები, მოტივაცია და ენთუზიაზმი, ინგლისური ენის მკოდნე ადამიანების არსებობა.

თიანეთის მუნიციპალიტეტის ფოკუსჯგუფიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით ადგილზე არსებული ორგანიზაციის სუსტ მხარეებში შემდეგი ფაქტორები მოიაზრება: ინფრასტრუქტურა, ფინანსური არამდგრადობა, კონტაქტების, თანამოაზრეების სიმცირე და გამოცდილების ნაკლებობა, კერძო და საჯარო სექტორთან არაეფექტური თანამშრომლობა.

მუნიციპალიტეტში არსებული სათემო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობებში მონაწილეები მოიაზრებენ შემდეგს: უკონკურენტობა, მუნიციპალიტეტში არასოდეს უმუშავია ადგილობრივი ორგანიზაციას. ასევე, ასათვისებელი თემების მრავალფეროვნება, ადგილობრივი ხელისუფლება, უმუშევარი და აქტიური ახალგაზრდები, საერთაშორისო მოხალისეები.

ხოლო, საფრთხეებში თიანეთის მუნიციპალიტეტის ფოკუსჯგუფის წევრებმა დაასახელეს ახალგაზრდების მიგრაცია დედაქალაქში, მხარდამჭერების არ არსებობა, ხელისუფლების ცვალებადობა, შიში ინოვაციური იდეების მიმართ.

• რეკომენდაციები

იმ ფაქტის გათვალისწინებით რომ თიანეთის მუნიციპალიტეტში არცერთი აქტიური სათემო ან საზოგადოებრივი ორგანიზაცია არ არსებობს და ის ერთი ორგანიზაცია, რომელიც წარმოდგენილი იყო ფოკუსჯგუფზე, კვლევის ჩატარების დროისთვის (თებერვალი, 2020 წელი) მხოლოდ იურიდიული სტატუსის მიხედვით იყო აქტიური, რეკომენდაციების შემუშავება რეგიონის დანარჩენი მუნიციპალიტეტებისგან განსხვავებული ფორმატით წარიმართა და ამ ჩამოყალიბდა რამოდენიმე ზოგადი რეკომენდაცია.

- გააქტიურდეს უკვე არსებული ორგანიზაცია და დაიწყოს საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის მიღება;
- ადგილობრივი ხელისუფლების ახალგაზრდული სამსახურის მიერ ხელი შეეწყოს საინიციატივო ჯგუფების ფორმირებასა და მცირე პროექტების ფინანსურ/მატერიალურ მხარდაჭერას;
- ადგილობრივი საჯარო სკოლები გახდნენ საერთაშორისო მოხალისეების მასპინძლები;

თიანეთის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანია მუშაობა ადგილობრივი საინიციატივო ჯგუფების შექმნის მიმართულებით და მათთვის სათემო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის მუშაობის კონცეფციის სწავლება, რათა ხელი შეეწყოს ადგილზე სამოქალაქო სექტორის განვითარებას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თიანეთის მუნიციპალიტეტის სათემო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები საკუთარი პრობლემებისა და საჭიროებების მოგვარების მიმართულებას ზემოთ წარმოდგენილ რეკომენდაციებში ხედავენ. ასევე, უნდა აღინიშნოს რომ, რამდენადაც სუსტადაა განვითარებული სამოქალაქო სექტორი თიანეთის მუნიციპალიტეტში, იმდენადვე მწირია მათი სამომავლო ხედვა.

8.5. ყაზბეგის მუნიციპალიტეტი – swot ანალიზი და რეკომენდაციები

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ ონლაინ ფოკუსჯგუფში წარმოდგენილი იყო ორი საზოგადოებრივი ორგანიზაცია. ფოკუსჯგუფის წევრებმა საკუთარ გამოცდილებასა და რეალობაზე დაყრდნობით იმსჯელეს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში არსებული სათემო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ძლიერ და სუსტ მხარეებზე, შესაძლებლობებსა და საფრთხეებზე. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს განსხვავებული ასპექტები ორგანიზაციათა შორის სუსტი და ძლიერი მხარეების მიმართულებით, მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა რომ ფოკუსჯგუფზე წარმოდგენილი ორგანიზაციებისთვის იკვეთება საერთო ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. (იხ. დანართი #5. SWOT ანალიზი - ყაზბეგის მუნიციპალიტეტი.)

SWOT ანალიზის შედეგები - ყაზბეგის მუნიციპალიტეტი

ფოკუსჯგუფის შედეგად მიღებული ინფორმაციით გამოიკვეთა შემდეგი ძლიერი მხარეები, რომელიც ყაზბეგის მუნიციპალიტეტში არსებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს აქვთ: მატერიალური რესურსი, ადგილობრივი თემის წევრობა, ნდობა და ცნობადობის მაღალი დონე, კვალიფიციური და გამოცდილების მქონე კადრი, კარგი კონტაქტები, ფონდების მოძიების ცოდნა და უნარები, მოტივაცია.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში არსებული ორგანიზაციის სუსტ მხარეებად, ფოკუსჯგუფის წევრებმა დაასახელეს შემდეგი: სამუშაო სივრცის/ოფისის არ ქონა, ადამიანური რესურსის სიმცირე (იმის გათვალისწინებით, რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის უმეტესი ნაწილი დაკავებულია კერძო ბიზნესით, რთულია მათი ჩართვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების პროექტებში, როგორც მოხალისეობრივი კუთხით, ასევე ანაზღაურებადი პოზიციის შეთავაზების შემთხვევაშიც).

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ფოკუსჯგუფის წევრებმა თემში არსებული რამდენიმე შესაძლებლობა გამოკვეთეს, პირველი არის, საზოგადოების მაღალი მზაობა ეკონომიკური ფაქტორის გათვალისწინებით, რამაც მოიაზრება ის ფაქტი, რომ ადგილობრივებს აქვთ საკმარისი ფინანსური შემოსავალი, ძირითადი საჭიროებები აქვთ დაკმაყოფილებული და შესაბამისად, ადგილზე არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ განვითარდეს სამოქალაქო სექტორი და ასევე, არსებობენ აქტიური ახალგაზრდები თემში. გარდა ამისა, შესაძლებლობებში გამოკვეთეს დონორების არსებობა, ადგილობრივი ხელისუფლების მაღალი ბიუჯეტი და მუნიციპალიტეტში სოციალური მენარმეობის განვითარების პოტენციალი.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ფოკუსჯგუფის წევრებმა ძირითად საფრთხეებად განიხილეს პანდემიები და თანამშრომლების დაკარგვა, განსაკუთრებით მოხალისეობრივად ჩართული კადრების.

• რეკომენდაციები - ყაზბეგის მუნიციპალიტეტი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ფოკუსჯგუფის მონაწილეებმა SWOT ანალიზის მიხედვით შეიმუშავეს რეკომენდაციები, რომელიც დაეხმარებათ ორგანიზაციის წინაშე არსებული პრობლემებისა და გამოწვევების შემცირებაში. მიმდინარე ქვეთავში

წარმოდგენილი რეკომენდაციები დაყოფილია შემდეგ ძირითად მიმართულებებად: რეკომენდაციები ორგანიზაციის ფინანსური სტაბილურობის შექმნის მიმართულებით, რეკომენდაციები შიდა ორგანიზაციული განვითარების მიმართულებით, რეკომენდაციები სექტორთა შორის თანამშრომლობის გაძლიერების მიმართულებით და რეკომენდაციები მუნიციპალიტეტში/თემში ეფექტური ფუნქციონირების მიმართულებით. თითოეული მიმართულების ქვეშ წარმოდგენილია კონკრეტული რეკომენდაციები, ამოცანები ან/და ქმედითი ნაბიჯები, რომელიც შეიმუშავებს ფოკუსჯგუფის წევრებმა.

რეკომენდაციები ორგანიზაციის ფინანსური სტაბილურობის შექმნის მიმართულებით

- სოციალური სანარმოების შექმნა ორგანიზაციისათვის ფინანსური სტაბილურობის შექმნის მიზნით;

რეკომენდაციები შიდა ორგანიზაციული განვითარების მიმართულებით

- გრძელვადიანი პროექტებისა და სამუშაო ადგილების შექმნის მიმართულებით აქტიური მუშაობა;

რეკომენდაციები სექტორთა შორის თანამშრომლობის გაძლიერების მიმართულებით

- ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან კომუნიკაცია მცირე პროექტების დაფინანსებასთან დაკავშირებით;
- ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან მოლაპარაკება ფუნქციური სივრცის/საოფისე ფართის გამოყოფასთან დაკავშირებით;

რეკომენდაციები მუნიციპალიტეტში/თემში ეფექტური ფუნქციონირების მიმართულებით

- ადგილობრივი ახალგაზრდების გადამზადება და მათთვის გრძელვადიანი სამუშაო ადგილების შექმნა სათემო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებში;

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სათემო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები საკუთარი პრობლემებისა და საჭიროებების მოგვარების მიმართულებას ზემოთ წარმოდგენილ რეკომენდაციებში ხედავენ.

9. კვლევის ძირითადი დასკვნები

მცხეთა-მთიანეთის სათემო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საჭიროებების კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი დასკვნები:

- **მცხეთა-მთიანეთში არსებული სათემო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაარსების ძირითადი მოტივაცია:**
 - დამფუძნებლებს ჰქონდათ სურვილი გაეუმჯობესებინათ ადგილობრივ თემში არსებული მდგომარეობა;
 - პირადი ცოდნისა და ექსპერტიზის გაზიარების მოტივი;
 - რეგიონში შემოსული ორგანიზაციის პროექტის ფარგლებში დაფუძნება, ადგილობრივი პარტნიორი ორგანიზაციის სახით;
 - საგრანტო კონკურსში მონაწილეობის შესაძლებლობის მიღება;
 - სახელმწიფო პროგრამებთან თანამშრომლობის შედეგად დაფუძნება;
 - თბილისში არსებული ან საერთაშორისო ორგანიზაციის რეგიონული ფილიალი;
- ორგანიზაციათა 69%, ანუ 11 ორგანიზაცია დადებითად აფასებს იმ მოლოდინების რეალობაში განხორციელებას, რომლებიც დაფუძნების დროს ჰქონდათ და თვლიან, რომ გარკვეულწილად მიაღწიეს დასახულ მიზნებს, 31%/5 ორგანიზაცია ფიქრობს რომ უფრო მეტი მოლოდინი ჰქონდათ, ვიდრე რეალობაში განახორციელეს და თვლიან რომ ორგანიზაცია სათანადოდ ვერ ამუშავეს.
- კვლევაში მონაწილეთა 40% აქვს მიმდინარე პროექტი (აქ შედის რეგიონული ფილიალებიც, სულ 2 ასეთი ორგანიზაცია), ხოლო 60%-ს ფოკუსჯგუფის ჩატარების დროისთვის არ ჰქონდა მიმდინარე პროექტი.
- იმ ორგანიზაციებიდან, რომლებსაც აქვთ მიმდინარე პროექტი, საერთაშორისო დონორი ჰყავს 70%-ს (შედის რეგიონული ფილიალებიც), ხოლო 30%-ს აქვს ქართული საგრანტო კონკურსით მიღებული დაფინანსება. წარსული გამოცდილების მიხედვით, ორგანიზაციათა უმეტეს ნაწილს აქვს ქართულ დონორებთან თანამშრომლობის გამოცდილება.
- ორგანიზაციათა უმრავლესობას აქვს ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობის გამოცდილება. თანამშრომლობის ფორმას უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენს სივრცის დათმობა ან ტრანსპორტირებით მომსახურების განწვევა, ნაკლებად ფინანსური კონტრიბუცია. ფოკუსჯგუფების მონაწილეთა შეფასებით ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა ნაკლებად ორგანიზებულია.
- ორგანიზაციათა უმეტესობას არ აქვთ ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობის გამოცდილება. თანამშრომლობის არსებობის შემთხვევაში ბიზნეს სექტორის კონტრიბუცია არის პროდუქცია და არა ფინანსური მხარდაჭერა. ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობა ნაკლებად ორგანიზებულია და უმეტეს შემთხვევაში პირადი ნაცნობობით შემოიფარგლება.
- შიდა ორგანიზაციული პრობლემები და გამოწვევები:
 - ფინანსებისა და კადრების არასტაბილურობა.
 - ორგანიზაციის მართვისა და პროექტების წერის კომპეტენციების ნაკლებობა.
 - მუშაობის/პროექტის შედეგების შეფასების მექანიზმის არ არსებობა.

- არასაკმარისი დროის დათმობა ორგანიზაციული საქმიანობისათვის.
 - ფორმალური სივრცის (ოფისის) არ არსებობა ორგანიზაციის ფუნქციონირებისთვის.
 - დაფინანსების წყაროების მოძიებაზე პასიური მუშაობა და ხშირ შემთხვევაში შესაბამისი დონორების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა ან არცოდნა.
 - კონკურენტუნარიანი პროექტების წერის დაბალი ექსპერტიზა.
 - საგრანტო კონკურსებში პასიური მონაწილეობა.
 - ადამიანური რესურსის ნაკლებობა.
 - მუნიციპალიტეტში არსებული ორგანიზაციების პასიურობა დონორის მოძიების და დაფინანსების მოპოვების მიმართულებით;
- **ადგილობრივ ხელისუფლებასთან და ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობის პრობლემები და გამონწვევები:**
 - ადგილობრივ ხელისუფლებასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის არაეფექტური თანამშრომლობა;
 - თანადაფინანსების პრობლემა ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან და ბიზნეს სექტორიდან;
 - სამოქალაქო საზოგადოებას, ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის ერთიანი სტრატეგიის, ხედვის არ არსებობა;
- **დონორებთან თანამშრომლობის მიმართულებით პრობლემები და გამონწვევები**
 - დონორების დაბალი ინტერესი მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მიმართ;
 - დონორების მხრიდან პრიორიტეტების არასწორი განსაზღვრა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში;
- **ადგილობრივი თემის ჩართულობის მიმართულებით პრობლემები და გამონწვევები**
 - საზოგადოების პასიური სამოქალაქო ჩართულობა და დაბალი მოხალისეობრივი კულტურა;
 - სტრუქტურული დამოკიდებულება და ნდობის ნაკლებობა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ;
- **სხვა სახის პრობლემები და გამონწვევები**
 - მთიანეთის მუნიციპალიტეტში მოქმედი სათემო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის არ არსებობა;
 - ტრენინგ სივრცის არ არსებობა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში;
- **სასურველია, ხელი შეეწყოს კვლევის შედეგად გაცემული რეკომენდაციებისა და ე.წ. თვითრეკომენდაციების განხორციელებას ადგილობრივი ხელისუფლების, ბიზნეს-სექტორის დონორებისა და სათემო-საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ.**
 - რეკომენდაციები ორგანიზაციის ფინანსური სტაბილურობის შექმნის მიმართულებით;
 - რეკომენდაციები შიდა ორგანიზაციული განვითარების მიმართულებით;
 - რეკომენდაციები სექტორთა შორის თანამშრომლობის გაუმჯობესების მიმართულებით;
 - რეკომენდაციები მუნიციპალიტეტში/თემში ეფექტური ფუნქციონირების მიმართულებით;

დანართი №1.1. SWOT ანალიზი – ახალგორის მუნიციპალიტეტი

ახალგორის მუნიციპალიტეტში არსებული სათემო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები I ჯგუფი	
S-სიძლიერე	W-სისუსტე
<ul style="list-style-type: none"> - მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; - გამოცდილება; - სამიზნე ჯგუფების ცნობა(კავშირები) - მიზნებისა და მოტივაციის არსებობა - პრობლემის იდენტიფიცირების მექანიზმები; - იდეების მრავალფეროვნება - კონტაქტები სსო-ებთან 	<ul style="list-style-type: none"> - ფინანსური არასტაბილურობა; - კადრების დენადობა; - ადამიანური რესურსი; - თანამედროვე ტექნოლოგიების ნაკლებად გამოყენება; - ოფისის არ ქონა; - ტერიტორიული დისტანცია; - პიარი; - პროექტების წერის ცოდნა; - ინგლისური ენის ცოდნა;
O-შესაძლებლობა	T-საფრთხე
<ul style="list-style-type: none"> - ფონდები (ადგილობრივი-საერთაშორისო) - ადგილობრივი ხელისუფლება და ბიზნეს სექტორი; - ორგანიზაციული განვითარების პროგრამები; - ინტერნეტი; - თემის მოხალისეები; - სოციალური მენარმეობა; - უფასო ტრენინგ-კურსები; 	<ul style="list-style-type: none"> - საზოგადოების უნდობლობა; - სტერეოტიპები ორგანიზაციების მიმართ; - ნეპოტიზმი; - დონორების გასვლა; - ბიზნესისა და ხელისუფლების ნაკლები ჩართულობა; - სამიზნე ჯგუფების პრობლემებთან შეუსაბამო პროექტების არსებობა;

დანართი №1.2. SWOT ანალიზი - ახალგორის მუნიციპალიტეტი

ახალგორის მუნიციპალიტეტში არსებული სათემო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები I ჯგუფი	
S-სიძლიერე	W-სისუსტე
<ul style="list-style-type: none"> - ფართი; - ადამიანური რესურსი; - გუნდური მუშაობის უნარები; - პრობლემების იდენტიფიცირების შესაძლებლობა; - გამოცდილება; - აზრების გათვალისწინება; - კონტაქტები; 	<ul style="list-style-type: none"> - ფინანსური არასტაბილურობა - გამოცდილების არ ქონა; - მოტივაციის არ ქონა - კვალიფიციური კადრის არ არსებობა; - ორგანიზაციისთვის დათმობილი დროის სიმცირე; - იდეების ნაკლებობა
O-შესაძლებლობა	T-საფრთხე
<ul style="list-style-type: none"> - მოსახლეობის მოხალისეობრივი ჩართულობა; - დონორების დაინტერესება; - ფონდების მოძიება; - ადგილობრივი თვითმმართველობა; - ინტერნეტი 	<ul style="list-style-type: none"> - მოსახლეობის მოტივაციის დაკარგვა - დონორების დაბალი ინტერესი - ფინანსების ნაკლებობა

დანართი №2. SWOT ანალიზი – მცხეთის მუნიციპალიტეტი

მცხეთის მუნიციპალიტეტში არსებული სათემო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები	
S-სიძლიერე	W-სისუსტე
<ul style="list-style-type: none"> - პროფესიონალიზმი; - გამოცდილება; - მოტივაცია; - ორგანიზაციული ზრდის მოთხოვნილება; - მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; - ოფისი/ტრენინგ სივრცე; (ერთი ორგანიზაცია) - პრიორიტეტების განსაზღვრის უნარი; - რეგიონის ცოდნა. 	<ul style="list-style-type: none"> - პროექტების წერა/ლოგიკური ჩარჩო; - ოფისი; - ენის ცოდნა (ინგლისური/რუსული) - დონორების მოძიება; - რეგიონის ორგანიზაციებთან კოორდინაცია; - ფინანსური არასტაბილურობა; - ორგანიზაციული განვითარების სტრატეგიის არ არსებობა; - თანამშრომლების სტაბილურობა; (თანამშრომელთა წასვლა ფინანსების არქონის გამო) - ორგანიზაციული მენეჯმენტი;
O-შესაძლებლობა	T-საფრთხე
<ul style="list-style-type: none"> - მოტივირებული ახალგაზრდები; - ქსელური/კოალიციური მუშაობა (რეგიონული ორგანიზაციების); - კერძო/საჯარო/არასამთავრობო სექტორთა შორის თანამშრომლობა; - დონორები; - ერთობლივი პროექტების განხორციელება; - ექსპერტული ცოდნის გაზიარება ორგანიზაციებს შორის; - საერთაშორისო მოხალისეები; 	<ul style="list-style-type: none"> - ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გულგრილი დამოკიდებულება ინოვაციური იდეების მიმართ; - დაბალი მოქალაქეობრივი კულტურა/დაბალი სამოქალაქო თვითშეგნება; - დონორების რჩეული ორგანიზაციების არსებობა; - საჯარო/ბიზნეს სექტორის ჩაურთველობა;

დანართი №3. SWOT ანალიზი – დუშეთის მუნიციპალიტეტი

დუშეთის მუნიციპალიტეტში არსებული სათემო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები	
S-სიძლიერე	W-სისუსტე
<ul style="list-style-type: none"> - საზოგადოების ინფორმირების პოტენციალი - განათლებული, პროფესიონალი ხელმძღვანელი - დასაქმების შესაძლებლობების მიცემა - შშმ პირთა შესაძლებლობების გაუმჯობესება (ხელმისაწვდომობა) - კონტაქტების არსებობა (კომპეტენტური პირები) - ადგილობრივი კონტექსტის ცოდნა - ცნობადობა - ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობა - ტექნიკური ბაზა (კომპიუტერი, პრინტერი, ფოტოაპარატი და სხვ.) - ადგილობრივების ნდობა - აქტიური ახალგაზრდები 	<ul style="list-style-type: none"> - ფინანსები - ადამიანური რესურსი - ინვენტარი - ტექნიკური გამართულობა - ტრანსპორტირება / გადაადგილება - კვალიფიციური კადრების სიმცირე - დონორების შესახებ არაინფორმირებულობა - ენის ბარიერი - მოტივაციის არ ქონა/ნაკლებობა - ორგანიზაციების მიმართ ნდობა/ ინფორმაციის ნაკლებობა - ორგანიზაციების ცნობადობა ქვეყნის/ რეგიონის მასშტაბით - მედიის არ არსებობა - ნაკლები ინსტიტუციური განვითარება
O-შესაძლებლობა	T-საფრთხე
<ul style="list-style-type: none"> - ხელობის შესწავლა და საქმეების ნახალისება თემში - თემის წევრების საჭირო რესურსით აღჭურვა - ადგილობრივი ლიდერები - საგრანტო კონკურსები - ადვოკატირება/უფლებების დაცვა - ინფორმაციის გავრცელება - თვითმმართველობის მუშაობის გამჭვირვალობა - რეკომენდაციების მიცემა-ინფორმაციის გაცემა - რესურსების გაცვლა - დონორების არსებობა - ტურისტული ზონის განვითარება - რეგიონში არსებული დონორები, შემომწირველები - სამეწარმეო და სამთავრობო სექტორის გაერთიანება - კულტურული შესაძლებლობები 	<ul style="list-style-type: none"> - გასაღების ბაზრის არ ქონა/სიმცირე სოციალურის საწარმოსათვის - ხელისუფლების პოლიტიზირება - სტერეოტიპები/იარლიყები/კლიშეები - ნდობის დაკარგვა დონორთან - დონორების სიმცირე - კადრების გადინება /არასტაბილურობა - სახელმწიფოს მხრიდან რეგულაციები - დაბალი სამოქალაქო თვითშეგნება - მიგრაცია

დანართი №4. SWOT ანალიზი – თიანეთის მუნიციპალიტეტი

თიანეთის მუნიციპალიტეტში არსებული სათემო და საზოგადოებრივი ორგანიზაცია	
S-სიძლიერე	W-სისუსტე
<ul style="list-style-type: none"> - კვალიფიციური კადრები - ინგლისური ენის ცოდნა საგრანტო კონკურსებში განაცხადის შეტანის დონეზე - მოტივაციის არსებობა - ენთუზიაზმი 	<ul style="list-style-type: none"> - ინფრასტრუქტურის არ არსებობა - ფინანსური არამდგრადობა - გამოცდილების ნაკლებობა - კონტაქტების სიმცირე - სექტორებს შორის კავშირი - თანამოაზრეების ნაკლებობა
O-შესაძლებლობა	T-საფრთხე
<ul style="list-style-type: none"> - კონკურენციის არქონა (უკონკურენტობა) - დონორები - ადგილობრივი ხელისუფლება - დაუსაქმებელი ახალგაზრდები - საერთაშორისო მოხალისეები 	<ul style="list-style-type: none"> - არაკომპეტენტური გარემო - მხარდამჭერების არარსებობა - ხელისუფლების ცვალებადობა - ინოვაციური იდეებისადმი შიში

დანართი №5. SWOT ანალიზი – ყაზბეგის მუნიციპალიტეტი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში არსებული სათემო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები	
S-სიძლიერე	W-სისუსტე
<ul style="list-style-type: none"> - მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; - ადგილობრივი თემის ნდობა და ცნობადობის მაღალი დონე; - გამოცდილების მქონე კადრი - კონტაქტები; - მოტივაცია; - ადგილობრივი თემის წევრობა; - ფონდების მოძიების ცოდნა; 	<ul style="list-style-type: none"> - სამუშაო სივრცე (ოფისი); - ადამიანური რესურსის სიმცირე - მოხალისეები, პროექტში დასასაქმებელი ადამიანები; - ფინანსური არამდგრადობა / არასტაბილურობა;
O-შესაძლებლობა	T-საფრთხე
<ul style="list-style-type: none"> - საზოგადოების მაღალი მზაობა, ეკონომიკური ფაქტორის გათვალისწინებით (მოსახლეობის უმეტეს ნაწილს ფინანსურად არ უჭირს და პოტენციური არის სამოქალაქო სექტორის განვითარების) - აქტიური ახალგაზრდები; სოციალური მენარმეობის განვითარება; - ადგილობრივი ხელისუფლების მაღალი ბიუჯეტი; - დონორების არსებობა; 	<ul style="list-style-type: none"> - პანდემიები; - კადრების დაკარგვა (მოხალისეობრივად ჩართული კადრების)

